# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 9 მაისი, 2009 წელი.

№ 92 (6193)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## გილოცავთ გამარჯვების დღეს!



## ქართველ ვეტერანებს რუსეთის პრეზიდენტმა მიულოცა

რუსეთისა და საქართველოს საერთო ისტორია ურთიერთობების და ნდობის აღდგენაში ხელს შეუწყობს.

ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ქართველი ვეტერანებისადმი გამოგზავნილ სამამულო ომში გამარჯვების მილოცვაში განაცხადა. მიმართვის ტექსტი კრემლის პრესსამსახურმა გუშინ გაავრცელა.

ქართველი ვეტერანებისადმი მიმართვაში მედვედევმა გაიხსენა რუსი მიხეილ ეგოროვისა და ქართველი მელიტონ ქანთარიას გმირობის ისტორია, რომლებმაც რაიხსტაგზე გამარჯვების დროშაააფრიალეს.

ჩვენი საერთო ისტორიული მემკვიდრეობა, მეზობლობისა და მეგობრობის ტრადიციები მყარი საფუძველია ჩვენს ხალხებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ალსადგენად, ხალხებს შორის, რომლებიც არასოდეს არ იყვნენ მტრები, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობები ახლა სერიოზული გამოცდის წინაშეა, არ შემწყდარა ადამიანებს შორის პირდაპირი კონტაქტები, თანამშრომლობა საზოგადოებრივ, კულტურის ორგანიზაციებსა და რუსულ და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. ყველაფერი ეს საფუძველს ქმნის ვიმედოვნოთ, რომ სულიერად ახლო ხალხებს შორის ურთიერთსწრაფვა ჩვენ დაგვეხმარება განვავითაროთ ურთიერთსასარგებლო პარტნიორული ურთიერთობები,– ნათქვამია მილოცვაში.

პრეზიდენტის აზრით, „ფაშისტ დამპყრობლებთან ერთობლივი ბრძოლა, რუსულ-ქართული მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი გმირული ფურცელია.

მილოცვაში რუსეთის პრეზიდენტმა ქართველ ვეტერანებს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და მთელ ქართველ ხალხს მშვიდობა, სიკეთე და თანხმობა უსურვა.

ინტერპრესნიუსი

## რა დღესასწაულზეა ლაპარაკი, როცა მთელი მსოფლიო ფაშიზმს ებრძოდა, ჩვენი ხელისუფლება კი გამარჯვებულ ვეტერანებს გვებრძვის, არაფრად გვაგდებს 5

საქართველოში, როგორც ომის ვეტერანთა დეპარტამენტიდან გვაცნობეს, შემორჩენილია იმ დიდი ომის 9969 ვეტერანი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ!

## დიალოგი და ულტიმატუმი 3



## საჭიროა ლიდერი, რომელიც ეროვნულ სულს პროგრესისკენ წაიყვანს 4



### ფრაზა დღის ამ ფრაზ ურიდან

**მანანა ნაჭყებია: „ალიანსი საქართველოსთვის“**

– ზოგიერთმა ჩვენმა სპორტსმენმა დიდი სიმძიმის აწევით ოლიმპიური ჩემპიონობა კი მოიპოვა, მაგრამ ვაი, რომ კაცურკაცობის ტვირთის აწევა ვერ შეძლო...

(პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე გამოსვლიდან)

## ჩვენ ვადანაშაულებთ პრეზიდენტ სააკაშვილს... 4

## „რატომ მომიკალით შვილი?!“ 2

## კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი – სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა! 2

ერთობლივი განცხადება

# კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი – სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა!



**9 აპრილის აქციების ორგანიზატორმა პარტიებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

– ბოლო დღეებში სააკაშვილის რეჟიმის დაპირისპირებამ საკუთარ ხალხთან, ხელისუფლების უპასუხისმგებლო და პროვოკაციულმა მოქმედებებმა სახელმწიფო კიდევ ერთხელ დააყენა ძალადობის ესკალაციისა და სახელმწიფოში უმართავი პროცესების დაწყების საფრთხის წინაშე. ეს მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სააკაშვილის რეჟიმს აღარ ძალუძს უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხო განვითარება და სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების სტაბილური შესრულება. არსებულ ვითარებაში ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ სახელმწიფოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ რეალურ გამოსავლად გვესახება სააკაშვილის და მისი რეჟიმის შეცვლა მშვიდობიანი და კონსტიტუციური მეთოდებით, რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ამასთან, ქვეყანაში ძალადობის ესკალაციის თავიდან აცილებისა და მშვიდობიანი პოლიტიკური პროცესის წარმართვის მიზნით, რაც ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით შეცვლის აუცილებელი პირობაა, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მზაობას, სააკაშვილს შევხვდეთ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზების განსახილველად. ამ შეხვედრაზე, რომელიც გამჭვირვალე გარემოში უნდა გაიმართოს, ვაპირებთ, წარვუდგინოთ მას ჩვენი პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხებზე, მათ შორის, პოლიტიკური პროცესების უსაფრთხოდ წარმართვისა და სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ ღონისძიებებზე, – აღნიშნულია განცხადებაში.



ვიდეოკონფერენცია

## დიმიტრი როგოზინი:

# რუსეთი ყოველთვის მართალია!

**საქართველოსა და რუსეთს შორის, უკვე კარგა ხანია სიტუაცია გამწვავებულია, ახლა კი რუსეთსა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს შორისაც დაიძაბა ვითარება. ამას წინათ ნატოდან რუსეთის რამდენიმე წარმომადგენელი გამოაძევეს,. რასაც რუსეთმაც ადეკვატურად უპასუხა და კანადელი დიპლომატები გააძევა.**

ნატო-რუსეთის ურთიერთობის თემას შეეხებოდა მოსკოვი-ბრიუსელი-თბილისის ვიდეოკონფერენცია, რომელიც გუშინ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რია-ნოვოსტიში" გაიმართა. კონფერენციის მონაწილეთა კითხვებს რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი ნატოში დიმიტრი როგოზინი უპასუხებდა. დიმიტრი როგოზინმა ნატოზე საკუთარი შეხედულება ასე ჩამოაყალიბა: ერთი მხრივ, ნატოს მენტალიტეტი ასეთია – უნდათ ამ ორგანიზაციის გლობალიზაცია, რომელიც თანდათანობით „მსოფლიო ჟანდარმის" სახეს უფრო იღებს, ვიდრე უსაფრთხოების დამცველისა. ადრე ამ ფუნქციას სსრკ ასრულებდა. მეორე მხრივ, ნატო მართლაც არის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ორგანიზაცია, რომელიც მუდმივ დახვეწას საჭიროებს.

სსრკ დაიშალა, მაგრამ დარჩა რუსეთის ფედერაცია, რომელიც ყოველთვის თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, რაც ზოგიერთებს დასავლეთის საწინააღმდეგო ჰგონია, თუმცა რუსეთს ზოგადად დასავლეთის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. უამრავი პროვოკაციის მიუხედავად, რუსეთი ნატოსთან ურთიერთობას გააღრმავებს, უკვე ვმუშაობთ ახალ სამპუნქტიან დოკუმენტზე, რომელიც ამ ურთიერთთანამშრომლობის რეგულაციას ხელს შეუწყობს, – დასძინა ელჩმა.




რუს დიპლომატს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზეც მოუწია ლაპარაკი. მან მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა საქართველოში ნატოს სამხედრო წვრთნების მიმდინარეობის შესახებ. მისი თქმით, მაშინ, როცა 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ავანტიურას ბევრი ადამიანი ემსხვერპლა, ნატოს წვრთნების თბილისში ჩატარება მიუღებელია. – ისეთი ძლიერი ორგანიზაცია, როგორიც ნატოა, ამას არ უნდა აკეთებდეს და თავის რეპუტაციას უფრთხილდებოდეს. ასე სასწრაფოდ წვრთნების ჩატარება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს და ეს ნატოს აბსურდული გადაწყვეტილებაა, – აღნიშნა როგოზინმა.

– ჩვენ არ მივიჩნევთ, რომ ნატო ჩვენთვის, როგორც პარტნიორი, დაიკარგა, – აღნიშნა მან, – სწორედ ამიტომ ვამახვილებთ ამ საკითხზე ყურადღებას და ღია კრიტიკასაც არ ვერიდებით. თანაც ნატოს სწავლებებს საქართველოში ბევრად უფრო პოლიტიკური ელფერი აქვს, ვიდრე ტექნიკური წვრთნებისა. მით უფრო, რომ მალე ოსეთში არჩევნებია დაგეგმილი, ამ სწავლებებს აშკარად შანტაჟის სახე აქვს.

დიმიტრი როგოზინმა აღნიშნა, რომ სწავლებებთან დაკავშირებით რუსეთის ლოგიკას ბრიუსელშიც ძალიან ბევრი ეთანხმება, თუმცა ასევე ამბობენ, რომ წვრთნები დიდი ხნით ადრე დაიგეგმა და ვერ გადავდებთო, რაც შეცდომაა, მიიჩნევს დიპლომატი.

ქართულ ჯარში მომხდარ ბუნტზე, რომელსაც რუსეთის დაგეგმილი მორიგი პროვოკაცია უწოდა საქართველოს ხელისუფლებამ, დიმიტრი როგოზინმა თქვა, რომ ამაზე კომენტარი რთულია, ვინაიდან ეს არის სიბრიყვე და სასაცილო. პოლიტიკაში ყველაფერი შეიძლება უწოდო ფაქტებს: მკაცრი, მიუღებელი, მკაფიო, ბინძური, მაგრამ არამც და არამც – სასაცილო, მიანიშნა მან.

რუსეთის ელჩმა ნატოში ჩრდილო ალიანსისა და რუსეთის მომავალზე უფრო იმედიანად ილაპარაკა, ვიდრე საქართველო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მისი თქმით, ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ბევრად უფრო კარგი დიპლომატიური თუ ადამიანური ურთიერთობები აქვთ. თუმცა ამაზე ჯერ კიდევ ახდენს გავლენას არა ობიექტური, არამედ სუბიექტური მიდგომები.

რაც შეეხება საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობას, როგოზინის თქმით, რუსეთშიც და საქართველოშიც გამოიძებნებიან ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც სწრაფი და კარგი ურთიერთობის აღდგენას შეძლებენ. თუმცა კი კითხვაზე: რუსეთი ყველასთან რომ საკუთარ სიმართლეზე ლაპარაკობს, იქნებ ერთი არგუმენტი მაინც გაიხსენოთ, რასაც შეცდომად მიიჩნევდითო, დიმიტრი როგოზინმა მკაცრად და მოკლედ უპასუხა: რუსეთი ყოველთვის მართალია!

ალბათ, სწორედ ასეთი ხისტი დამოკიდებულება უშლის ხელს რუსეთს კეთილმეზობლური თუ კეთილმეგობრული ურთიერთობის დამყარებაში. რუსი პოლიტიკოსების მტკიცებით, ისინი საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, თუმც ძალიან ხშირად ეს ინტერესები იმდენად სუბიექტური და იმპერიალისტურია, რომ სხვა ქვეყნებს აშკარად ყელში ეჩხირებათ.

**თეა მოსია**

**მურად ალაშვილის ფოტო.**

თავისუფალი აზრის სახლი

# მედიამ უნდა დაიბრუნოს მეოთხე ხელისუფლების მართალი და ობიექტური ტრიბუნა

**თავისუფალი აზრის სახლის მედიის ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი ექსპერტიზის დარბაზის ერთობლივმა სხდომამ იმსჯელა ამ ბოლო დროს ქართულ მედიაში დაგროვილ პრობლემებზე. ყველასთვის ცხადია, რომ მედიის დამოუკიდებლობამ, მისმა ხარისხმა და თამასამ, რასაც ეთიკური სტანდარტებად მივიჩნევთ, დაბლა დაიწია.**

ქართული საზოგადოებისა და ჟურნალისტებისადმი თავისუფალი აზრის სახლის მიმართვაში ყურადღება გამახვილებულია ქვეყნისთვის კრიტიკულ ვითარებაში საინფორმაციო საშუალებათა მიუკერძოებლობასა და პროფესიონალიზმზე – სწორედ ამ ფაქტორმა უნდა შეუწყოს ხელი სამთავრობო სტრუქტურებს, სწორი დასკვნები გააკეთონ ვითარების ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ოპოზიციურ მხარეს გაუჩინოს მისი შეხედულებების საზოგადოებისთვის მართებულად მიწოდების რწმენა.

რეგიონალური მედიის ასოციაციის თავმჯდომარეს **ია მამალაძეს** მიაჩნია, რომ ბოლო დროს საზოგადოებრივი აზრის პოლარიზება აისახება მედიის მუშაობაზე, რაც გარკვეულწილად ზემოქმედების მექანიზმია.

– ჟურნალისტები, მედიაში მომუშავე ადამიანები, ვგრძობთ ნებისმიერი სახის ძალადობას, იქნება ეს ოპოზიციისა თუ ხელისუფლების, თუნდაც საზოგადოების მხრიდან. ბოლო დროს მეჩვენება, რომ ამ საშკუთხედს, სადაც ჟურნალისტზე ზემოქმედებს მედიამფლობელი და სახელმწიფო, გაუჩნდა მეოთხე წახნაგი – საზოგადოება, რაც, ჩემი აზრით, მიუღებელია და შეიძლება უამრავი პროცესები მოჰყვეს. დღევანდელი შეხვედრაც სწორედ ამ საკითხზეა, – გვითხრა ია მამალაძემ.

**ქეთი ბოხუა, საზოგადოებრივი აზრის სახლის მედიის ეფექტიანობის დარბაზის ხელმძღვანელი:** – განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, რასაც თავისი მიზეზი აქვს – მაუწყებელი ხალხის ბიუჯეტით საზრდოობს და ამიტომ მის მიმართ ბევრია პრეტენზიაც. არსებობს პრეტენზიები ტელეკომპანიების – „კავკასიის" და „მაესტროს" მიმართაც. ისინი უკიდურესად ოპოზიციური არხებია. პოპულარული ჟურნალისტიკა და მედია დღეს ქმნის იმ განწყობას, რაც შეიქმნა საზოგადოებაში. ჩვენი განსახილველი თემაც ესაა.

თავისუფალი აზრის სახლის მედიის ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი ექსპერტიზის დარბაზს მიაჩნია, რომ პროფესიონალებისაგან დაცლილ ქართულ ელექტრონულ მედიას აღარ აინტერესებს არც ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების მიზეზები და აღარც ოპოზიციური სპექტრის კატეგორიულობის წინააღმდეგობები.

ქართული ჟურნალისტიკა სერიოზულად დაავადდა და მოწყდა თავის ძირითად – „მოდარაჯე ნაგაზის" ფუნქციას და ბიპოლარულ დარგად – ხელისუფლება-ოპოზიციის ჟურნალისტიკად ჩამოყალიბდა.

მიმართვის ავტორები გმობენ ჟურნალისტებზე და მედია-საშუალებებზე ხელისუფლების მხრიდან ნებისმიერი ფორმით განხორციელებულ ზეწოლას და სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას. ასევე – ოპოზიციისა და პროტესტანტი საზოგადოების მხრიდან მედიის მიმართ გამოხატულ აგრესიას, უხეშობის ფაქტებსა და არაკონსტრუქციულ მოთხოვნებს. თუმცაღა, მედიის ზოგიერთი საშუალებისა და წარმომადგენელთა მიმართ დემოკრატიული ფორმით პროტესტის კანონიერი ფორმები მისაღებად მიაჩნიათ.

მიმართვის ავტორები მოითხოვენ დაიბრუნოს მედიამ დაკარგული, ჭეშმარიტად მეოთხე ხელისუფლების მართალი და ობიექტური ტრიბუნა.

ფაბრიკაციის, ფალსიფიცირებისა და ხელოვნურად დადგმული კადრების ნაცვლად, მედიამ უნდა შეასრულოს მედიატორის როლი უკიდურესად დაპირისპირებულ საზოგადოებას, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. ამის განსახორციელებლად თავისუფალი აზრის სახლის აზრი შვიდ მოთხოვნას აყენებს, რომელთა შორისაცაა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის გადადგომა.

**ნატა ნიბლაძე**

SIC!

# „რატომ მომიკალით შვილი?!"

**გუშინ ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ზანდუკელის ქუჩაზე პატრულმა გიორგი გამცემლიძე მოკლა, სრულიად უდანაშაულო, 32 წლის ახალგაზრდა, რომლის ბრალი მხოლოდ მოძრაობის წესების დარღვევაში გამოიხატა. ასე შეუერთდა ის იმ ახალგაზრდების სიას, რომლებიც პატრულის მიერ უსაფუძვლოდ ნასროლმა ტყვიამ შეიწირა.**

**გიორგი გამცემლიძის გარდაცვალების წლისთავი მისმა ოჯახის წევრებმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ სიცოცხლე" აქციით აღნიშნეს.**




**ჯამბულ გამცემლიძე, გიორგი გამცემლიძის მამა:**

– დღევანდელი დღე, პირველ რიგში, გიორგის გახსენების დღეა. მეორეც, ეს არის დღე, როდესაც სრულიად უდანაშაულო შვილი მომიკლეს.

იხ. 12 გვ.

◉ ჩვენი ჰაიდ-პარკი: ტრიბუნა ყველასთვის

# დიალოგი და ულტიმატუმი

**დიალოგი იმით განსხვავდება ულტიმატუმისგან, რომ მას, როგორც წესი, სუსტი მხარე სთხოვს ძლიერს; ულტიმატუმს კი, პირიქით, ძლიერი მხარე უყენებს სუსტს. დღევანდელი ქართული პოლიტიკის პარადოქსი კი ის არის, რომ აქ დიალოგს სთავაზობს ძლიერი მხარე (ხელისუფლება) სუსტს (ოპოზიციას), ხოლო სუსტი, იმის ნაცვლად, რომ სიხარულით დათანხმდეს, ხელებს ასავსავებს დიალოგზე და ულტიმატუმს უყენებს ძლიერს: „გადადგეს სააკაშვილი!“ კურიოზულია ულტიმატუმის ფორმაც: „მშვიდობიანი, კონსტიტუციური“!**

სააკაშვილი ვერ გადადგება! იმიტომ, რომ გულითაც რომ სურდეს, მაინც ვერ გადადგება. მართლა და, დიქტატორი ხომ არ არის, რომ თვითნებურად გადადგეს?! იგი მარიონეტია და, როგორც მარიონეტს, მას უფლება არა აქვს, თავისი ნებით გადადგეს. მისი გადადგომა-არგადადგომის საკითხს წყვეტს ის, ვისი მარიონეტიც ის არის. ბ-ნ მიხეილს არათუ გადადგომის, არამედ მცირედის დათმობის უფლებაც არა აქვს. მეთიუ ბრაიზამ ჯერ კიდევ ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების წინ გაგვაფრთხილა, „ჩვენ გვჭირდება ძლიერი პარლამენტიო“. ამიტომ ილუზიაა არა მარტო „გიგანტურ ნაბიჯზე“ ფიქრი, არამედ თვით „ერთი ნაბიჯის“ იმედის ქონაც. აშშ-ს საქართველო სჭირდება ისეთი, როგორიც ის არის: ჩვენ საერთო ღირებულებები გვაქვს. ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს საქართველო სჭირდება მსოფლიო მშვიდობის უზრუნველსაყოფად. იგი აჭიდავებს მას რუსეთთან. აბა, თვითონ ხომ არ დაეჭიდება?! ეს საშიში იქნებოდა მსოფლიო მშვიდობისთვის. ასე იყო ვიეტნამშიც. საქართველოც ვიეტნამია. მერე რა, რომ ამის გამო საქართველოს ხვდება. მაშ, რისთვის გვინდა საერთო ღირებულებები?!

რაც შეეხება სააკაშვილის გადაყენებას, სტრატეგიული პარტნიორი თვითონ გააკეთებს ამას, როცა საჭიროდ დაინახავს. ჯერჯერობით კი მარიონეტი (თუ მავრი, რადგან მას წასასვლელიც აღარსად აქვს და მავრები აღარსად არ მიდიან, ამიტომაც კიდევ ერთხელ ვერ გადადგება!) წარმატებით ართმევს თავს „თავის“ შავ საქმეს და აშშ-მა რომ გადააყენოს, „სადღა იშოვის კარგ მეძროხესა“?! თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, მას უკვე შერჩეული ჰყავს „მიშა ორი“, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, ჩაანაცვლებს მიშა მაგარს, რათა შემთხვევით ქუჩიდან (საქართველოდან!) არავინ ჩაენაცვლოს მას! მაგრამ ეს მოხდება დემოკრატიულად (როგორც „ვარდების რევოლუციის“ დროს მოხდა!). ამერიკა ხომ დემოკრატიული ქვეყანაა! ჰოდა, მიმდინარეობს მიშა ორის გაოპოზიციონერების დემოკრატიული პროცედურა, მის მიერ მიშა მაგარის მშვიდობიან-კონსტიტუციურად ჩასანაცვლებლად.

ასე, რომ სააკაშვილთან არც ულტიმატუმს აქვს აზრი და არც დიალოგს. ულტიმატუმი ქმედითი შეიძლებოდა ყოფილიყო 2008 წლის 20 იანვარს, 250 ათას დემონსტრანტს, იპოდრომის (!) ნაცვლად, პარლამენტის წინ რომ გამოეხატა პროტესტი „პრეზიდენტის“ ინაუგურაციის წინააღმდეგ! ტყუილია, თითქოს „სისხლისღვრა მოხდებოდა“. ულიარებელი სააკაშვილი ხალხის დარბევის ბრძანებას ვერ გასცემდა (პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე იყო) არა მარტო უცხოელი სტუმრების თანდასწრების გამო, არამედ აგრეთვე დემონსტრანტთა რაოდენობის გამოც: მიშა „მაგარია“ მხოლოდ ნამძინარევ მომიტინგეთა შეთხელებული ჯგუფების, ან მიტინგიდან სახლში მიმავალი დაღლილი და მშიერი ადამიანების წინააღმდეგ, ჩასაფრებული ანაზდად რომ ესხმის თავს.



ულტიმატუმი ქმედითი შეიძლებოდა ყოფილიყო 2008 წლის 12 აგვისტოსაც, „პატრიოტიზმით“ გულანთებულ ოპოზიციას „თანადგომის მონიტორინგით“ თვითონვე ხელახლა რომ არ „გაემაგრებინა“ თითქმის უკვე გათავებული სააკაშვილი და ცხინვალის კატასტროფა, მასთან ერთად, „გამარჯვებად“ არ მოენათლა! „გამაგრებულ“ მიშაზე კი მშვიდობიანი ულტიმატუმები აღარ ჭრის: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო“, — დასცინის იგი თავისავე გამმაგრებელ ქუჩაში გამოსულ ოპოზიციასა და ხალხს.

მიშა მაგარი პატივს სცემს ძალას და არა მშვიდობას. მშვიდობიან ულტიმატუმს კი ისევ მშვიდობიანი დიალოგი სჯობს. არა იმიტომ, იქნებ ყვავს კაკალი გააგდებინო. არა, როგორც ზემოთ ვთქვით, მას ვერაფერს გააგდებინებ. სააკაშვილთან ლაპარაკი ქვის კოდვაა. მაგრამ დიალოგზე უარის თქმა და „ულტიმატუმით ლაპარაკი“ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ოპოზიცია რადიკალი და შეურიგებელი იყოს, სააკაშვილი კი მშვიდობის მტრედი! საქმის ასე წარმოჩენა საშუალებას აძლევს მას, „საპასუხო“ აგრესიაც (დარბევა) გაამართლოს. იმიტომაც შემოაგდო მან ასეთი უაზრო დიალოგის პროვოკაცია, რომ ოპოზიცია არ დათანხმდეს მას და, მასთან შედარებით, თვითონ მამა აბრამის ბატკნად გამოჩნდეს! ასეთი ვირეშმაკობით მან არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, არამედ ქართველი საზოგადოების ნაწილსაც აუბნია თავგზა! ამ თვალსაზრისით, ოპოზიციის დიალოგზე ხელაღებით უარისთქმა სააკაშვილის წისქვილზე უშვებს წყალს. გასაგებია, რომ ოპოზიცია ორ წყალშუაა: იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ხალხის რადიკალიზმს, რათა მისი მხარდაჭერა არ დაკარგოს, რადგან ხალხის გარდა, მას სხვა იარაღი არ გააჩნია, მაგრამ პოლიტიკურად ეს წამგებიანია. პოლიტიკა ის არის, თავისივე კუდით დაიჭირო ეშმაკი: აიძულო, თვითონ თქვას უარი თავის მიერვე პროვოკაციულად შემოგდებულ დიალოგზე, რომ, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდეს „დიალოგის“ თემით სპეკულაცია და გაკეთდეს სათანადო დასკვნები!“

იხ. 4 გვ.

◉ თვალსაზრისი

# საჭიროა ლიდერი, რომელიც ეროვნულ სულს პროგრესისკენ წაიყვანს

**უკვე ერთი თვეა, ქუჩაშია გამოსული ოპოზიცია და საოცრად ორგანიზებული გამოხატავს პროტესტს იმის გამო, რომ ქვეყანაში სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები; ახალგაზრდობა ვერ ახერხებს თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას, გარბის საზღვარგარეთ და საზოგადოებას ეცლება ამით თავისი საყრდენი. ქვეყანა, რომელიც კარგავს ახალგაზრდა თაობას, კარგავს მომავალსაც.**

სახელმწიფოს სურს ეს ხალხი გამოაცხადოს ბრბოდ, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური პოზიცია, არ გრძნობს სოციალურ პასუხისმგებლობას, არც არაფერს უარყოფს და არც არაფერს გვთავაზობს კონკრეტულად. მიუხედავად ამისა, ოპოზიცია პრინციპულია თავის მოთხოვნაში, არ ეგება პროვოკაციებზე და ჯიუტად იყენებს თავის კანონიერ უფლებას ამბოხზე, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ანტიხალხურია და ანტისამართლებრივი. მდგომარეობა იმდენად დაძაბულია, რომ წუთი წუთზე შესაძლოა აფეთქება, შეიძლება მხარეები დაეჯახონ ერთმანეთს და დაიღვაროს სისხლი.

ასეთ ვითარებაში ქვეყნის პრეზიდენტი დროსტარების ხასიათზეა, მონაცვლეობს რესტორნიდან რესტორანში და ისვენებს ფეშენებელურ კურორტებზე. შს სამინისტრო წუწაობით ერთობა, მთავრობა არაადეკვატურია და ქვეყანა შესულია საშინელ კრიზისში. პრეზიდენტმაც და მთავრობამაც დაკარგეს ხალხის თვალში ნდობა; ამიტომაა, რომ ხალხი თანახმაა დიალოგზე მხოლოდ მაშინ, თუ პრეზიდენტი გადადგება. პრეზიდენტს კი არ ყოფნის ვაჟკაცობა, დიალოგზე წავიდეს ხალხთან. ამავე დროს არავის არ სურს ჩვენი ქვეყნის საქმეში ვილაცის ჩარევა გარედან: არც ამერიკა და არც რუსეთი! საქართველომ თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თვითონ უნდა იპოვოს თავისი გზა და თვითონ უნდა გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან.



ხალხში თანდათან იზრდება ეროვნული მუხტი, რაც არის ინდივიდთა ინტეგრაციის მყარი საფუძველი და მათი გამთლიანების მთავარი გარანტი.

ხალხს სურს იცხოვროს ღირსეულად და პროფესიონალებს აღარავინ უძახოს ჩარეცხილები. თანაც აშკარაა, რომ ქვეყანას სჭირდება ძლიერი პოლიტიკური ლიდერი, ის, ვინც შესძლებს სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების მობილიზებას და შეკრავს და წარმართავს მათ საერთო მიზნის მისაღწევად ერთიანი მოქმედებისკენ. ასეთი ლიდერის როლს ვერ შეასრულებს ვერავითარი შემთხვევითი „ცნობადი სახე“, როგორი პროფესიონალიც არ უნდა იყოს იგი თავის სფეროში. ერთხელ ვიღაცამ აინშტაინს ფიზიკის ჰეგელი უწოდა. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში დღეს იმდენად რთულია და თვისებურივად ისე ახალი, რომ მასაც სჭირდება თავისი ჰეგელი, ანუ ის, ვინც ღრმად და რაციონალურად შეაფასებს ჩვენს რეალობას, მყარად დააკავშირებს ინდივიდებს სოციალურ მთელთან და აგრძნობინებს ყველას, რომ ვერც ერთი იზოლირებული ადამიანი ვერ მიაღწევს თავის მიზანს ცხოვრებაში. პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა შეაძლებინოს საზოგადოებას ისეთი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს თითოეულს საკუთარი უნარების სწორ რეალიზაციაში, ასწავლის, დაიცვას თავისი უფლებები და პატივი სცეს სხვის უფლებებს, ანუ იცხოვროს და იმუშაოს ადამიანურად სხვებთან ერთად და სხვების გვერდით.

„მხოლოდ მთელი ხალხი ერთად წარმოადგენს ჭეშმარიტ ადამიანს და კაცს შეუძლია ბედნიერად ჩათვალოს თავი მხოლოდ მაშინ, თუ აქვს უნარი, იგრძნოს თავი ამ მთელის ნაწილად“, — წერდა გოეთე. ადამიანს ეს ბედნიერება უნდა განაცდევინოს სწორედ სრულყოფილმა სახელმწიფოებრივმა მმართველობამ. პოლიტიკური ლიდერი ისე ღრმად უნდა ხედავდეს და აანალიზებდეს ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ მოვლენათა მიმდინარეობას, რომ შესაძლებელი გახდეს სოციალურ მთელში საზოგადოებრივი კომუნიკაციების იმგვარად დალაგება, რომ გათვალისწინებული იყოს მასში დროის მოთხოვნები, ჩვენი ქვეყნის ისტორიული სახე და მისი ინტერესები მომავალში. გოეთე წერდა: **ნაპოლეონი წარმატებული წინამძღოლი იყო იმიტომ, რომ იგი ყოველთვის ისეთ ამოცანებსა და მიზნებს ისახავდა, რაც იყო აგრეთვე მილიონობით ადამიანის მისწრაფება და მიზანი და ამის გამო ხალხს სჯეროდა, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწევდა ყველაზე სწრაფად სასურველს. „მე ვნახე აბსოლუტური იდეა ამხედრებული ცხენზე“** წერდა მაშინ ჰეგელიც.

დაბოლოს: მინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ საუკუნეების მანძილზე ფილოსოფიური აზროვნება ადამიანს აძლევდა თავისი შესაძლებლობების რწმენას, ის იყო თავისუფალი ადამიანის ყოფიერების მთავარი საყრდენი და დღესაც სწორედ ფილოსოფიურ აზროვნებაში სუნთქავს მოაზროვნე ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლება.

იხ. 4 გვ.

ჩვენი ჰაიდ-პარკი: ტრიბუნა ყველასთვის

# დიალოგი და ულტიმატუმი

(მესამე გვერდიდან)

მშვიდობიანი ულტიმატუმით აიძულო სააკაშვილი, გადადგეს, რეალობის სფეროს სცილდება, რადგან მას, როგორც კედელთან მიმწყვდეულს, უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს. მან თვითონვე ჩაიტეხა ყველა ხიდი, შიგნით თუ გარეთ. გადადგომა არა მარტო იმ მილიარდების უკან ჩამოყაჭვას ნიშნავს, ქართველი ხალხის გალატაკებითა და გაუბედურებით რომ მიიტაცა, არამედ თავისი ფეხით ციხეში წასვლასაც! ამასთან, არა ჰოლანდიურის (ცოლოურისძ მსგავს ციხეში, არამედ თავისსავე აშენებულ ადამიანის ღირსების შემლახავ ციხეში! ჰოდა, როგორი საქმეა, მშვიდობიანი მეთოდებით დაითანხმო იგი ამაზე?! ამიტომ ლუარსაბივით „მაგრად დგას", ფეხის მოცვლას არ აპირებს და ისევ „კომბლისკენ" გაურბის თვალი! ამ თვალსაზრისით, ოპოზიციის მხრივ დიალოგზე დათანხმება სააკაშვილისათვის კოვზის ნაცარში ჩაგდება და „კომბლის" ხელიდან გაგდებინებაც არის.

დიალოგზე უარის თქმა და შეურიგებლობა გაუმართლებელია იმიტომაც, რომ იგი კრავს "ხელისუფლების" არცთუ ერთიან გუნდს, მაშინ, როცა საჭიროა მისი გათიშვა, მით უმეტეს, რომ იგი უკვე გაბზარულია და მის შიგნითაც ფარული ბრძოლა მიდის. ე.წ. „ერთიან გუნდში" რომ ყველანი ერთნაირები არ არიან, ამაზე მეტყველებს იქიდან სხვადასხვა დროს გამოქცეულთა მთელი არმია, რომელიც დღეს ოპოზიციის ბირთვს წარმოადგენს (ისე, სჯობდა, რომ ეს ადამიანები ხელისუფლებაში დარჩენილიყვნენ და საჭირო მომენტში შიგნით გაერთიანებულიყვნენ, განსაკუთრებით ეს ეხება ყოფილ ძალოვან ირაკლი ოქრუაშვილს, თუმცა გარეთაც ვერ გაერთიანებულან ისინიძ. რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ კიდევ არიან სხვებიც. ამიტომ არის ნათქვამი, „ექებე მეგობრები შენი მტრების ბანაკშიო". „უმრავლესობაში", თვით ძალოვან სტრუქტურებში, არ შეიძლება არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხედავენ, რომ ეს ჭირვეული ყმაწვილი, ხუთი-ექვს „თანამებრძოლთან" ერთად, დასაღუპად სწირავს ქვეყანასაც და მათაც. და დიალოგი მათი თანადგომისა და გადარჩენის საშუალებაც არის! რაც ოპოზიციამ არ უნდა დაუშვას, ის არის, რომ საშუალება არ მისცეს „მიშა ორს", რომ მან, ოპოზიციის სახელით, სეპარატული „დიალოგი" გამართოს „მიშა მაგართან". უმჯობესია, ეს მან თვითონ გააკეთოს!



ჟურნალისტ თეა მოსიას კითხვაზე, „რატომ გააკეთეთ არჩევანი ირაკლი ალასანიაზეო", „ცნობადი სახეებით" მდიდარი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა და თვითონაც „ცნობადმა სახემ" დავით ზურაბიშვილმა უპასუხა: „მას საკმაოდ კარგი წარსული აქვს. სადაც უმუშავია სახელმწიფო სტრუქტურებში, არსად ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია". ქ-ნ თეას აღარ უკითხავს, მაგრამ უნებლიეთ მე გამიჩნდა კითხვა: პირადად ბ-ნ დავითს ან დავით უსუფაშვილს, ძმებ ბერძენიშვილებს და სხვებს ცუდი წარსული აქვთ, თუ სახელგატეხილ სახელმწიფო სტრუქტურებში ნამუშევრობა ღირსება გახდა?!

გოგა ხაინდრავა, მაგალითად, იმისათვის ჯდება ნებაყოფლობით, დღევანდელ ხელისუფლებთან ერთად, საბრალდებო სკამზე, რომ ერთ ხანს მასაც მოუხდა მათთან ერთად „მუშაობა"! თუმცა ალასანიას მიმართ ბ-ნი გოგაც ბ-ნი დავითის აზრისაა: "აგვისტოს მოვლენებისას ირაკლის პოზიციები იყო სახელმწიფოებრივად ძალიან გამართული და მისი უკანასკნელი ნაბიჯებიც იმაზე მეტყველებს, რომ ალასანია ძალიან გაიზარდა როგორც პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. მისი სახით ქართულ პოლიტიკას შეემატა ძალიან ნიჭიერი, მტკიცე და მამაცი ადამიანი".

ჟურნალისტმა ჯაბა ხუბუამ პირუთვნელად მიახალა ბ-ნ გოგას, ირაკლი ალასანია წარსულში „გარკვეული კრიმინალური დაჯგუფების წევრიც ყოფილაო", მაგრამ მან კვლავ ნამუსი მოწმინდა „ძალიან გაზრდილ" და "ძალიან ნიჭიერ" პოლიტიკოსს: „ეს ზღაპრებია! როცა კრიმინალური დაჯგუფებები თუ საძმოები თარეშობდნენ თბილისში, ირაკლი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო და მათთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. დარწმუნებული ვარ, ირაკლი ალასანიაზე რაიმე სახის კომპრომატები რომ არსებობდეს, ესენი უკვე გამოიყენებდნენ და სკანდალსაც ააგორებდნენ, მაგრამ არანაირი კომპრომატები ირაკლიზე არ არსებობს".

პატარა ბიჭი იყო! სააკაშვილი იმიტომ არ უქექავს კომპრომატებს ირაკლი ალასანიას, რომ მან იცის, იგი უკვე „მიშა ორია" და მისი შეხება აშშ-ის ადმინისტრაციის შეხებას ნიშნავს. რაც შეეხება ბ-ნი ირაკლის მიერ აგვისტოს მოვლენებისას გაეროში სააკაშვილის მიერ გაჩაღებული ომის დაცვას, სახელმწიფოებრივად ძალიან გაუმართავი და საზიანო იყო: მას რომ გაეროში სააკაშვილის ქმედება საქართველოს ქმედებასთან არ გაეიგივებინა, შესაძლოა, რუსეთი სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმების დე იურე ცნობაზე არ წასულიყო.

ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ადამიანებს კომპრომატები არ უნდა მივუტევოთ და თვით სახელმწიფო სტრუქტურებში დაბრუნების შანსი არ მივცეთ, რადგან ადამიანი ცვალებადი არსებაა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კომპრომატიანი ადამიანებით მაინცდამაინც პრეზიდენტები ჩავანაცვლოთ!

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე**

თვალსაზრისი

# საჭიროა ლიდერი, რომელიც ეროვნულ სულს პროგრესისკენ წაიყვანს

(მესამე გვერდიდან)

ამიტომაც არის, რომ საუნივერსიტეტო სწავლების ბრიტანულ სტანდარტში გარკვევით წერია: **„ფილოსოფია აუცილებლად უნდა იყოს ნებისმიერი საუნივერსიტეტო განათლების გული, თუ უნივერსიტეტი იმსახურებს ამ სახელს"** და კიდევ: **„უნივერსიტეტი შესაბამისი დონის ფილოსოფიური განათლების გარეშე აუფასურებს თავის თავს, როგორც სახელმწიფო დაწესებულება".**

დღეს ინგლისის და ამერიკის უნივერსიტეტები უდიდეს ყურადღებას უთმობენ მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირების საკითხს და აღნიშნავენ აგრეთვე ფიზიკის განსაკუთრებულ როლს ამ მიმართულებით. მაგალითად, ლონდონის ატომური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი წერს: **„სახელმწიფომ განსაკუთრებით უნდა დააფინანსოს ფიზიკის განვითარება, რადგან ფიზიკა, გარდა ტექნიკისა, არის აგრეთვე მსოფლმხედველობაც!"**

ამ დროს ჩვენთან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გიგი თევზაძის იმ „გენიალური აღმოჩენის" წყალობით, რომ ღრმა თეორიული და მათემატიკური აზროვნება თურმე აავადებს ქართველი კაცის გონებას, ისპობა და ნადგურდება ფიზიკაც და მეცნიერული ფილოსოფიაც; ხოლო სხვადასხვა ხელმძღვანელ პოსტებზე სრულიად შემთხვევით მოხვედრილ კადრებს, რომელთა დიდი ძალისხმევითაც დადგა სწორედ თავდაყირა საუნივერსიტეტო განათლების ტრადიციული და საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფო სტანდარტი, დიდად აოცებს „ფილოსოფიის" სავალდებულო საგნად გამოცხადების **„მეტისმეტად თავხედური"** იდეა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი დადებითი შედეგი, რაც საერთოდ მოჰყვა განათლების სისტემის მთელ რეფორმას, არის მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდები და ამ საგამოცდო ფორმის თანდათანობითი გავრცელება ყველგან (ბაკალავრიატი, მაგისტრატურაძ. სხვა მხრივ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ განათლების სისტემის რეფორმამ დაანგრია მთლიანად როგორც საშუალო ისე უმაღლესი განათლების სფეროები და მთავრობა, რომელმაც გაანადგურა ქვეყანაში განათლება და მეცნიერება, უნდა წავიდეს!

ქვეყანას სჭირდება ლიდერი, რომელიც ეროვნულ სულს პროგრესისკენ წაიყვანს.

**გილდა სიხარულიძე**

ხმა ერის გასაგონად!

# ჩვენ ვადანაშაულებთ პრეზიდენტ სააკაშვილს...

***ჩვენ, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლები, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, მოძრაობა „სამეფო გვირგვინის", ნიკო ბაგრატიონის კავშირის წევრები, ქართული საზოგადოების ყველა ფენის მოაზროვნე წარმომადგენლები, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილნი ვართ განვაცხადოთ:***

1991-1992 წწ. სისხლიანი გადატრიალების შემდეგ ქვეყანა ჩართული იყო უკანონობის, უზნეობის, ღალატის მორევში, საქართველომ დაკარგა ძირძველი მიწები, მრავალი ათასი მამულიშვილი, 300 000 ლტოლვილი ჰყავს საკუთარ ქვეყანაში, შიდა ქართლიდან და აფხაზეთიდან. 2003 წელს „ვარდების რევოლუციის" ტალღაზე ქვეყნის მმართველად მოგვევლინა ე. შევარდნაძის შეგირდი მ. სააკაშვილი, რომელიც ხალხს დაჰპირდა კანონიერების აღდგენას, ქვეყნის გამთლიანებას, ეროვნული ეკონომიკის, კულტურის, მრეწველობის, სოციალური საკითხების, ჯანმრთელობის, განათლების განვითარება-განახლებას, დემოკრატიის აყვავებას. სამწუხაროდ, „დემოკრატიის შუქურად" გამოცხადებულმა პრეზიდენტმა ძვირადღირებული, უსახო შადრევნების აშენების, სახლების კოსმეტიკური შეღებვის გარდა, არც ერთი დანაპირები არ შეასრულა. მან შექმნა ერთპიროვნული მმართველობა უსახო, უპირო, უგვარო პარლამენტით, რომელმაც კონსტიტუციაც მოარგო მ. სააკაშვილის ამბიციებს და ანტიეროვნულ მიზნებს.

საქართველოში დამუნჯებულია მართლმსაჯულება, დანგრეულია ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, განადგურებულია განათლება, მეცნიერება, კულტურა, ზნეობა, თავისუფალი პრესა, ტელევიზია...

მ. სააკაშვილის და მისი კორუმპირებული მთავრობის ბრალია 2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო ომი და ახალი ტერიტორიების დაკარგვა ახალგორში და დალის ხეობაში. პრეზიდენტის და მისი მორჩილი გუნდის ანტიეროვნული პოლიტიკის, პროფესიული ქმედებების, უსუსური დიპლომატიის შედეგია ქართველი ხალხის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმდიდრის – მიწის, წყლის, წიაღისეულის, ჰიდროელექტროსადგურების, მდინარეების, ტყეების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების ნგრევა, გაყიდვა, ტრადიციული ფასეულობების შერყევა, ადამიანების, ქვეყნის, ერის უფლებების და ღირსების შელახვა.

მრავალი კონსულტაციის და ფიქრის შედეგად, ჩვენ ვადანაშაულებთ პრეზიდენტ მ. სააკაშვილს არაპროფესიონალიზმში, ღალატში, ეროვნული პროგრამის უქონლობაში, ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების დაუცველობაში, პარლამენტის ფუნქციის დაკარგვაში, ერის ღირსების, მისი წარსულის და აწმყოს დისკრედიტაციაში, მართლმადიდებლური ეკლესიის პრიორიტეტების შეზღუდვაში. მ. სააკაშვილი არ არის ერის სავიზიტო ბარათი. მიხეილ სააკაშვილი უნდა გადადგეს.

**ელენე აბაშიძე, ვაჟა აბაშიძე, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ქეთევან ავალიშვილი, ირაკლი ავალიშვილი, ვაჟა აბაკელია, ილო პატაშური, შოთა ზედგენიძე, რუსუდან ბაგრატიონი, თენგიზ ჩხეიძე, შოთა ჩხეიძე, ზაზა ჩიქოვანი, ზვიად ჯაფარიძე, ლეილა მირიანაშვილი, გოგა თავდგირიძე, მერაბ ლორთქიფანიძე, როზა ლორთქიფანიძე, თამაზ ბიბილური, ნიკა ამირეჯიბი, ზაზა კიკნაძე, გიორგი ჯაყელი, ელენე ბარათაშვილი, მედეა აბაშიძე, დავით წერეთელი, ეთერ მგალობლიშვილი, ავთანდილ ჯავახიშვილი, უშანგი ძადაგიშვილი, ვაჟა შერვაშიძე, მანანა ფალავანდიშვილი** და მრავალი სხვა.

*მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 64 წელიწადი გასულა...*

*64 წელიწადია საბჭოთა კავშირისა და ევროპა-აზიის მრავალი ქვეყნის ხალხები სხვადასხვა ფორმით და დოზით დღესასწაულობენ ფაშიზმზე გამარჯვებას.*

*დღესასწაულობს თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომელიც სწორედ ამ ომის დამთავრების შემდეგ, ხიროსიმასა და ნაგასაკში პირველი ატომური ბომბის ჩამოგდებიდან რამდენიმე დღეში, მსოფლიოს ზემძლავრ სახელმწიფოდ იქცა.*

*ადვილად ასახსნელია ის ფაქტიც, რომ 2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით ამერიკაში ყველაზე მეტი — 5 მილიონი ომის ვეტერანი ცხოვრობს. მათ შორის მრავლადაა საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან (რა თქმა უნდა, საქართველოდანაც) ნორმალური საარსებო პირობების, ლუკმა პურის საშოვნელად წასული ვეტერანები.*

*თვით რესეთის ფედერაციაში სადღეისოდ შემორჩა 452 600 დიდი სამამულო ომის მონაწილე, ამათგან 172 100 ინვალიდია. ზურგის წარჩინებული კი 4 მილიონზე მეტია.*

*გერმანიაში 700 000 ვეტერანია, საფრანგეთში — 200 000, მათგან ნახევარი, ანუ 100 000 კაცი დეპორტირებულია...*

*ჩვენს ბედკრულ საქართველოში, ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის მონაცემებით, მაქსიმუმ 10 ათასი ვეტერანი დარჩა, რომელთაც ვარდების რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ ყოველგვარი საარსებო პირობები და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთათვის განკუთვნილი პრივილეგიები მოუსპო.*

*ქართველ ვეტერანთა პრობლემებზე გვესაუბრება საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ვეტერანთა საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, გადამდგარი გენერალ-მაიორი გიორგი ხაზარაძე:*

# გიორგი ხაზარაძე:

# რა დღესასწაულზეა ლაპარაკი, როცა მთელი მსოფლიო ფაშიზმს ებრძოდა, ჩვენი ხელისუფლება კი გამარჯვებულ ვეტერანებს გვებრძვის, არაფრად გვაგდებს



— მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე 300 000-ზე მეტი ქართველი დაეცა და მინიმუმ ერთი ამდენი გამარჯვებული (თუმცაღა, ბევრი დასახიჩრებულ-დაინვალიდებულიძ დაბრუნდა უკან. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს შევახსენებ, რომ პატარა საქართველომ პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო საბჭოთა კომუნისტური იმპერიის გადარჩენის საქმეში. ზოგიერთი ამ ფაქტს მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მთავარი შემოქმედის და ორგანიზატორის, დღევანდელი გადასახედიდანაც ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი სტრატეგის, უშიშარი და პრინციპული გენერალისიმუსის იოსებ სტალინის ფენომენს უკავშირებს... რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ასეც არის, მაგრამ მომავალი თაობებისთვის ეს მოვლენა საამაყო და ჭკუის სასწავლებელი უფროა, ვიდრე საძაგებელი.

გახსოვთ ომში დაღუპული დიდებული პოეტი მირზა გელოვანი? — **„გაუმარჯოს სიკვდილშიაც არდანებებას“...** მაშინ მთელი მსოფლიო ფაშიზმს ებრძოდა და ქართველმა ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა გმირობის, თავგანწირვის არნახული მაგალითები გვიჩვენეს და ბრწყინვალედ დაიცვეს ტრადიციული, მამაპაპური, ქართული მუნდირის ღირსება. რა ვუყოთ, რომ 1941-45 წლებში ეს მუნდირი საბჭოთა, ანუ რუსული შეფერილობისა იყო. ეს ჩვენი ისტორიული ბედისწერაა. მაშინ ხომ დედამიწის ერთ მეექვსედს ქართველი კაცის გენია განაგებდა და... სტალინი რომ გენია იყო, ამას მისი ოპონენტები და პირწავარდნილი მტრებიც კი აღიარებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერ ომში ხომ ძლიერი იმარჯვებს. ცხოვრების მრავალსაუკუნოვან ლოგიკას ვერსად გავექცევით. მთავარია, რა დასკვნას გამოვიტანთ ამ რეალობიდან...

**— ყველას ნუ გადავაბრალებთ, მაგრამ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დასკვნა და იმ შემზარავ ომში ქართველი ხალხის დამსახურების იგნორირება, ჩემი აზრით, უგუნურობის კლასიკური მაგალითია. მაინც, რას გერჩიან ვეტერანებს, რატომ მოგიხსნეს ან მინიმუმამდე შეგიმცირეს ყოველგვარი შეღავათები?**

— თქვენ სამწუხარო ციფრისთვის ზუსტად მიგიგნიათ. გაუსაძლისი პირობების გამო, ელემენტარული უყურადღებობის გამო, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ასობით ვეტერანი გაეცალა ამ უმადურ წუთისოფელს. მათი რიცხვი 10 ათასიც აღარ არის! ხელშეწყობის და მოფერების ნაცვლად, სააკაშვილის ხელისუფლება არსებობის საშუალებას გვისპობს. მაგალითისთვის დაგისახელებთ ჩვენი ხელისუფლების 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებას ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კანონში ცვლილებების შესახებ. კანონში განსაზღვრულია, რომ ომის ყველა ვეტერანი, ინვალიდობის მიუხედავად, განთავისუფლებულია გაზის ღირებულების გადასახადისაგან... „ყაზტრანსგაზის“ ხელმძღვანელობა კი ყველა ვეტერანისგან დაჟინებით მოითხოვს გაზის ღირებულების გადახდას და ხშირად უთიშავს კიდეც მათ ბუნებრივ აირს... პასუხისმგებლობა ეკისრება ფინანსთა სამინისტროს, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს თანხის გადახდას. ერთადერთი, ვინც შედარებით პატიოსნად იხდის თითოეულ ვეტერანზე მხოლოდ 40 კუბმეტრი გაზის საფასურს, ეს თბილისის საკრებულოა. დანარჩენი, როგორც ვთქვი, ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს. ეს კი არ კეთდება! საგულისხმოა ისიც, რომ ვეტერანების შესახებ კანონში ხაზგასმით მითითებული იყო: **„კანონით გათვალისწინებული შეღავათების შემცირება-გაუარესება დაუშვებელია“,** — 2005 წლის 23 დეკემბრის კანონში ეს მუხლი საერთოდ ამოღებულია და ქვეყანაში ვეტერანთა უფლებების დაცვის არავითარი გარანტია არ არსებობს!


За Азербайджанскую Республику
За Республику Молдова
За Республику Армения
За Российскую Федерацию
За Республику Беларусь
За Республику Таджикистан
За Грузию ........
За Туркменистан
За Республику Казахстан
За Республику Узбекистан
За Кыргызскую Республику
За Украину

აბსოლუტურად მოუწესრიგებელია ვეტერანთა სამედიცინო დაზღვევის საკითხი; ფაქტიურად, არ ფუნქციონირებს ვეტერანთა საავადმყოფო-ჰოსპიტალი, კარგა ხანია დაგვავიწყდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უფასო სამკურნალო-დასასვენებელი საგზურები... ჩვენი პენსიები კი მხოლოდ პურის და ჩაის ფულად თუ გვყოფნის!

**— ბატონო გიორგი, ნუთუ გამოსავალი არ არსებობს? თქვენი აზრით, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ ჩვენი ვეტერანები, პენსიონერები და ზოგადად ქართველი ერი ნორმალურად ცხოვრობდეს?**

— ნორმალურ ცხოვრებას ხელისუფლების პოლიტიკური და ეროვნული ნება ქმნის. საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილ რესპუბლიკაში ხალხის, მათ შორის პენსიონერთა და ვეტერანთა ინტერესებს და მოთხოვნებს გაცილებით მეტ პატივს სცემენ, ვიდრე საქართველოში, ყოველწლიურად უმატებენ პენსიებს, ჩვენი სოფლები და ქალაქები კი გაივსო ღარიბღატაკი, მოშიმშილე ოჯახებით. დღითი დღე იზრდება უმუშევრობა. ვინც მუშაობს, ძალიან დაბალი ხელფასი აქვს... **სამაგიეროდ, პარლამენტში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში სისტემატურად იზრდიან ხელფასებს. ეს არის ხელისუფლების ზნეობრივი დეგრადაციის, ხალხის აბუჩად აგდების ამაზრზენი მაგალითი... რა უნდა ვქნათ? — ერთადერთი გამოსავალია ახალი, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლების არჩევა, ეგრეთ წოდებული სახელმწიფო ინსტიტუტების — განსაკუთრებით სასამართლოს — ძირფესვიანი რეფორმა, საქართველოს ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკის პოტენციალის ამოქმედება, ქართული პროდუქციის შექმნა და თითოეული ადამიანის დასაქმება...** ყველაფრის გაკეთება შეიძლება, თუ ეროვნული ხელისუფლება გვეყოლება და ხალხი სისტემატურად მოითხოვს პასუხს მის მიერ არჩეული მთავრობისგან...




**— ყოფილ საბჭოეთში, დსთ-ს ქვეყნებში კარგა ხანია დაიწყო მზადება დიდი სამამულო ომის დამთავრების 65 წლისთავის აღსანიშნავად... ქართველი ვეტერანები რასა იქმთ?, როგორ შეხვდებით 2010 წლის 9 მაისს?**

— ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ალბათ მოკრძალებულად აღვნიშნავთ ამ თარიღს, მაგრამ... ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2007 წლის 5 ოქტომბერს ხელი არ მოაწერა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პრეზიდენტთა ერთობლივ გადაწყვეტილებას ამ თარიღის საერთაშორისო დონეზე აღნიშვნის შესახებ...

**— რაო, ჩვენმა პრეზიდენტმა, გამარჯვების დღესასწაულმა რა დაგვიშავაო?**

— ეს ჩვენი ომი არ იყო და არც ვიდღესასწაულებთო! ამ დროს დოკუმენტს ერთსულოვნად მოაწერეს ხელი აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვის, რუსეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, უკრაინის ლიდერებმა...

**— ერთადერთი, ვინც გადაწყვეტილება უარყო, მიხეილ სააკაშვილი იყო?**

— დიახ. ამ ნაბიჯით მან კიდევ ერთხელ გათელა მეორე მსოფლიო ომში ქართველთა უდიდესი დამსახურება და ჯერ კიდევ ცოცხალ, გადარჩენილ ვეტერანთა უფლებები.

**— სამაგიეროდ, ჩვენმა პრეზიდენტმა, ამ დოკუმენტის მიღებიდან 10 თვის შემდეგ, რუსთაველის პროსპექტზე დიდი ზარზ-ზეიმით იდღესასწაულა რუსეთთან ხუთდღიან ომში დამარცხება და... მას მერე ჩაციკლულივით იმეორებს: ომი ჯერ არ დამთავრებულაო!**

— სამწუხაროდ, ასეა!

**— გამძლეობას გისურვებთ, ბატონო გიორგი და ქართველ ვეტერანებს გულწრფელად გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების სამოცდამეოთხე წლისთავს!**

— გმადლობთ!

ესაუბრა

**სპარტაკ ქობულია**

# ცეცხლში ნაწრთობი სიყალბე

**გორში, ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის სკვერში გამოცოცხლებაა. აქაურობას დამთვალიერებელი არ აკლია. გამარჯვების დღისთვის ემზადებოდა საბრძოლო დიდების მუზეუმიც.** ომის ვეტერანს, მრავალჭირვარამგადანახად თადარიგის პოლკოვნიკს ირაკლი ყანდარელს კი სახლში აქვს გახსნილი მცირე მუზეუმი. ფოტოებზე და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ბრძოლებით განვლილი მისი საბრძოლო გზაა აღბეჭდილი — კავკასია, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია...

შარშან, აგვისტოს ომის შემდეგ, მუზეუმის ექსპოზიციაში ახალი ექსპონატები გაჩნდა, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის ფაქტებს ასახავენ.

— ცხინვალიდან შემოსული რუსული საოკუპაციო ქვედანაყოფის გენერალი ბორისოვი, — მიამბობს ირაკლი ყანდარელი, — სტალინის სახელობის მოედანზე ახლადგამომცხვარ მოსკოვურ პროვოკატორულ „ვოენი ვესტნიკს“ აფრიალებდა, რომლის პირველ გვერდზეც მსხვილი ასოებით იყო დაბეჭდილი „საქართველო თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს!“ და იქვე, პლაკატიდან, დანგრეული შენობების ფონზე გაშვიანი ქალი გამწარებით ტიროდა: შვილი გადამირჩინეთო. გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა ამ ქალში მეორე მსოფლიო ომისდროინდელი პლაკატი ამოიცნო, რომელიც მხატვრებს ცხინვალის ომისთვის მიუსადაგებიათ.

— ომის ფალსიფიცირებასაც კადრულობთ? სირცხვილი თქვენი! — და გუბერნატორმა გენერალს გაზეთი ხელიდან გამოგლიჯა.

ახლა ის გაზეთი, როგორც რუსეთის საქართველოსთან „სამართლიანი“ ომის ჟამთააღმწერი, ვეტერანის საოჯახო მუზეუმში ინახება.

**გურამ ვაშაკიძე,**
**გორი-თბილისი.**




ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №139

## „ილაპარაკე სხვაზე, რათა გაიგო ვინ ხარ“...

*ეს ძველბერძნური სიბრძნე ახლავს ეპიგრაფად კრებულს, რომელსაც მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტები (ხელმძღვანელი — ნინო ხოფერია) ამზადებენ.*

*ახალგაზრდები ეცნობიან ჩვენი ეპოქის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პიროვნებების ბიოგრაფიას და შემოქმედებას, მათ, ვისაც თავიანთი გავლილი ცხოვრების დიდი გადასახედიდან რაღაც ძალიან ღირებულის და განსხვავებულის თქმა შეუძლიათ თაობებისთვის. მწერლები, მხატვრები, მსახიობები, რეჟისორები საუბრობენ საკუთარ თავზე, ხელოვნების საგანზე, ადამიანებზე, რომლებიც ეძვირფასებათ... მიმდინარეობს საუბრების ვიდეოგადაღებაც. კრებულს „ავტოპორტრეტები“ ბეჭდურ ვერსიასთან ერთად თან ახლავს ვიდეომასალები, რაც, ვფიქრობთ, წლების შემდეგ თაობათა შორის გადებულ ხიდად და ამავე დროს უძვირფასეს საარქივო დოკუმენტებად იქცევა.*

*გთავაზობთ, ბეჭდური ვერსიის ერთ ფრაგმენტს კრებულიდან „ავტოპორტრეტები“.*

მირბის სიკვდილისკენ. ეს, რაც შეეხება დროის პიროვნულ განცდას...

რენე გენონის სიტყვით (ეს მე წავიკითხე ჟურნალში „ვოპროსი ფილოსოფიი“ №4), დრო სულ უფრო და უფრო მზარდი სიჩქარით მოძრაობს, რაკი იგი სულაც არ წარმოადგენს რაღაც ჰომოგენურს... დრო ყოველწუთიერად ახალ და ახალ თვისებებს იძენს, იკუმშება და ამ შეკუმშვისას ლამობს ერთიან წამად იქცეს და შთანთქოს თავისივე თავი... სქოლიოში, ამ შეხედულებასთან დაკავშირებით, რუს კომენტატორს მოჰყავს ალექსეი ლოსევის ოცი წლით ადრე გამოთქმული აზრი... თუკი გსურთ ილაპარაკოთ ნამდვილ, რეალურ დროზე, მაშინ იგი, რა თქმა უნდა, ერთგვაროვანი არ არის, ის კუმშვადი და გაფართოებადია, სავსებით ფარდობითი და პირობითია. ვის არ განუცდია ერთი წუთი საუკუნედ და საუკუნე ერთ წუთად? მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ 1914 წლიდან დრო რაღაცნაირად შემკვრივდა და სწრაფმდენი გახდა. აპოკალიფსური მოლოდინი სწორედ დროის შემკვრივებით აიხსნება...

გამახსენდა, 1977 წელს ოტია პაჭკორიას 50 წლისთავისთვის დაწერილი ჩემი მისალმების ერთი პასაჟი, სადაც ვიხსენებდი რა ოტიას რვაწლიან პატიმრობას, ვწერდი: შემაშინებელია გაქონილი დრო, რომელიც არ ცნობს შენ მიერ განცდილ ორიენტირებს, დრო, რომელიც შენს გარეთ და შენს შიგნით იკუმშება და ფართოვდება, ერთ წერტილში იწრიტება ან უკიდეგატრეტს ხატავ... მოემს უწერია კარგად: „მე ამოვწურე სხვათა შეცნობის ჩემეული, შინაგანი რესურსი“...

* * *

პოეტი სიღრმისკენ უნდა წავიდეს, მაგრამ ხანდახან ვერ ახერხებს... იცით, ხშირად ადამიანში თვითგანადგურების ქვეცნობიერი ტალღა ჩნდება. ასე გგონია მეტი აღარ შეგიძლია, ყველაფერი გამოხატე, სათქმელი თქვი, ენერგიისგან დაიცალე... ამ დროს უნდა შეყოვნდე, რათა შენში ხელახლა იშვას შემოქმედი. თუმცა, ამის დაძლევა ძნელია. განა, ასე არ დაემართა გურამ რჩეულიშვილს? — მან „თავი მოიკლა“, შინაგანად მოკვდა, რადგან საოცარი ვულკანიზმი გამოავლინა... მე მჯერა, ის დიდი პროზაიკოსი დადგებოდა. მისი ჩანაწერები წავიკითხე: აი, რაზე ფიქრობდა — უნდა დაწერო ისეთი წიგნი, როგორიცაა „ომი და მშვიდობა“, სხვა შემთხვევაში არ ღირს არაფერიო და დაწერდა კიდეც. ამას ამბობენ პუშკინზეც — მან გრანდიოზული რამ გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ 37 წლის იყო... ამას კარგად პასუხობს ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“, როგორ დაიცალა ბოლომდე ეს არაჩვეულებრივი ვაჟკაცი და იცით, როგორც დაასრულა...

აკაკი გაწერელია ამბობს: „შემოქმედისთვის გარემოც მნიშვნელოვანია, გალაკტიონი სხვა გარემოში უფრო დიდი იქნებოდაო“..

გალაკტიონი სხვანაირი ვერ იქნებოდა, რადგან საშინელი პერიოდი იყო — იდეათა ჭიდილი...

# თამაზ ჩხენკელის ავტოპორტრეტი

„იგი მშვენიერი კაცია, მშვენიერია, რადგან კენტავრია და გონების ძალით კენტავრულისაგან გათავისუფლებას აღწევს“... ასეთია ოტია პაჭკორიასეული თამაზ ჩხენკელის, **პორტრეტი** მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ავტოპორტრეტი უნდა გამოიძერწოს... ანუ **ახლა ჩვენ ვცდილობთ მოგაწოდოთ თამაზ ჩხენკელის ავტოპორტრეტი მისივე მეგობრის დაწერილი პორტრეტის ფონზე.**

* * *

ხილიანის ქუჩა №24, პირველი სადარბაზო, მე-5 სართული. ინტერვიუზე **თამაზ ჩხენკელი** გველოდება... თეთრი რკინის კარი მძიმედ გაიღო, ოთახში თბილა და სიძველის სურნელი იგრძნობა... უამრავი წიგნი, ფოტო, გასული საუკუნის ნივთები და თბილი შეხვედრა... ჩვენი გამოუცდელობა, კრძალვა, შიში — გამოცდილების, პოეტური მწრამსისა და „ამ ქვეყნის ჩუმი ქურუმის“ (როგორც ოტია პაჭკორია აღნიშნავს) პირისპირ...

„იგი მხნეა, ხმაურიანი, მოხიბლული თავისი ჯიშით. მას ერთადერთი სიმდიდრე გააჩნია — სიტყვა, ქართულად თქმული...“ (ო. პაჭკორია)

ჩვენი შიში თანდათან გაქრა, ბატონი თამაზი მეგობრულად შეგვხვდა, თითქოს გუშინ დაწყებული საუბარი გააგრძელა... პოეზია, ანბანის ისტორია, ახალგაზრდობა, საყვარელი გმირები და დრო, რომელიც არასოდეს ყოფნის ადამიანს...

**„თარგმნა პოეზიაში ლექსის ახლად შექმნაა, რომელიც ხანდახან არ გამოდის, მაგრამ დიდი ძალისხმევისა და მონდომების შედეგად თანდათან ყველაფერი ლაგდება, კუთვნილ ადგილს პოულობს. ჩემში თავიდანვე იყო, რაღაც ბირთვი, რომელიც თან მდევდა... ახალგაზრდობა ძალიან კარგია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შინაგანად ფლობ რაღაც ისეთს, რაც შემდგომ გზას განსაზღვრავს... ისე ცხოვლად მახსოვს ჩემი „გიჟმაჟომანია“, რომ ვწითლდები... ამ გადასახედიდან ვაცნობიერებ ჩადენილ სისულელეებს... თუმცა მაშინაც ყველაფერს ხვდები, მაგრამ ახალგაზრდული შემართება, დროის უზღვავობა...**

**ხშირად მეკითხებიან: „რას ურჩევდით ახალგაზრდებსო?“ ვპასუხობ — „არაფერს“... შენვე, თვითონ უნდა აირჩიო შენი მასწავლებელი. მე შემიძლია მხოლოდ ამის შემდეგ წაგეშველო, გითხრა რაღაც, რა გზით წახვიდე...**



**ჩვენ გვქონდა საოცარი პერიოდები, როცა გავვარდებოდით, ვლოთობდით და უცებ გამიელვებდა — „ამ წელს მე არაფერი დამიწერია“... ჩავიკეტებოდი და რაღაც დროის მერე გარეთ გავდიოდი... ისევ გავვარდებოდი და შიგნით აღარ შემოვიდოდი, მერე ისევ ჩავიკეტებოდი და ა. შ. ჩემი წიგნები რომ იბეჭდებოდა, მეკითხებოდნენ: როგორ? ამდენი როდისღა მოასწარი?.. ჩემს ოჯახში სამი ქალი იყო — დედაჩემი და ორი დეიდა, კათოლიკურად აღზრდილნი, რომლებიც, ბუნებრივია, ჩემგანაც მოითხოვდნენ დისციპლინას, მკაცრ წესრიგს, რასაც ჩემი ბუნება ვერ ეგუებოდა. ამიტომაც, ხშირად მიწევდა „გაქცევა“. ეს საოცარი დრო იყო... ხო, დროზე გამახსენდა: ყველას აქვს შენიშნული, რომ ახალგაზრდის განცდაში დრო უსაზღვროა, ხოლო ხანდაზმულობაში ის უკმარისია, დრო თითქოს უფრო სწრაფად**

**ნო ჭაობივით იფინება... დრო, რომელიც მეტ-ნაკლები სიდიდისაა და სხვადასხვა ელფერის მქონე, ნაფლეთებად ალაგებს ცხოვრების კალენდარულად უწყვეტ და მთლიან მდინარებას...**

**მეპატიოს საკუთარი ციტირება, მაგრამ ეს გამართლებული უნდა იყოს იმით, რომ ფრანგ მოაზროვნეს, გენიალურ რუს მეცნიერსა და ორდინარულ ქართველ ლიტერატორს, ურთიერთისაგან სავსებით დამოუკიდებლად, ერთნაირი აზრი შეექმნათ დროის მსვლელობის თაობაზე.**

* * *

„თამაზი სხვაზე ნაკლებად დასცილდა სიჭაბუკის სახესა და ხატს. იქნებ ამიტომაცაა ნაკლებ დაქანცული...“ (ოტია პაჭკორია)

**ერთხელ ვთქვი, ჩემს ბიოგრაფიას არავინ დაწერს-მეთქი და ჯობია ისევ მე მივხედო ამ საქმეს...**

**მეგობრებს, ვისთანაც ურთიერთობა გვაქვს, როცა ხატავ, როცა აღნიშნავ იმათ განსხვავებულობას, იმათ განსაკუთრებულობას, ეს შენი შეცნობის უნარიდან მოდის და არამარტო... ალბათ, შენშიდაც არის რაღაც ისეთი, რაც მათ შეცნობაში გეხმარება... როცა ვინმეზე წერ, ფაქტიურად შენი სახეც იხატება, მით უმეტეს, როცა ათ-თხუთმეტ პორ-**

**მან უარყო ეს ყველაფერი. ფაქტიურად თავი მოიგიჟიანა, რაც ერთგვარი ნიღაბიც იყო. ჩვეულებრივ დროს აკაკი გაწერელიას აზრი სწორი იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში არა... პავლე ინგოროყვა ხომ იყო კარგ ადამიანებთან, მაგრამ... იცით პავლემ ერთხელ კინაღამ თავი მოიკლა, ქალს უთხრა: თუ ცოლად არ გამომყვები, თავს მოვიკლავო... რევოლვერი ამოიღო და ისროლა. აი, რა „გიჟმაჟი“ იყო ეს დიდი მეცნიერი.**

**ცხოვრებაში არსებობს ისეთი რამეც, რომელიც ძალიან გინდა, მაგრამ მას არ უნდა შეეხო...**

* * *

„იგი იმ მცირერიცხოვანთაგანია, ვინც იცის: ერთადერთი ხსნა არსებობს პიროვნებისთვის — წარმატებული აზრი, პატიოსანი და ამაღლებული ზნეობრივი ალამი ამქვეყნად“ (ოტია პაჭკორია).

**აქვე გეტყვით, ყოველ ადამიანს თავისი საყვარელი მწერალი ჰყავს, რომლისგანაც მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე პასუხს ეძებს ან რომელიც მას რაიმეთი ანუგეშებს, გაამხნევებს ან შეაგონებს. ახლა, რომ მკითხონ, რომელ მწერალთან მიხვიდოდიო (არჩევანში გარდაცვლილებიც იგულისხმება) ჯეკ ლონდონს ავირჩევდი...“**

ალბათ იმიტომ, რომ, როგორც ბატონი თამაზი ბრძანებს: ის მწერალი **„ბოლომდე დაიცალა“...**

მონიკა ჩოკორაია,
მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის ჟურნალისტიკის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი



# იმერეთში დაღვრილი ცრემლი აფხაზეთზე...



იმერეთი. სხვიტორი. ეს პატრიარქალური გარემო, გერონტი ქიქოძის განმარტებით, საუკუნეების მანძილზე გარეშე მტერთაგან ყველაზე მეტად იყო დაცული. „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოს“ ავტორი, დარწმუნებული იმაში, რომ ერის პოეტია, უმკაცრესი სიტყვებით მიმართავდა სამშობლოს: **„ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ, ჩემთვის კი ავო დედინაცვალო!..“**

აქ, სხვიტორთან დაიბადა „საქართველოს უგვირგვინო მეფის“, „ღვთაებრივი პანის“ ტკივილიანი სიყვარული სამშობლოსადმი, რასაც მერე ქართველ პოეტთა რამდენიმე თაობა გაიზიარებს...

* * *

სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელ-მუზეუმის ფონდების მცველი ქალბატონი **კლარა მაჭარაშვილი** პოეტის მამის, როსტომ წერეთლისეულ სახლში დაიბადა. მისი დედა აკაკის დას ანა წერეთელს წამლების დამზადებაში ეხმარებოდა. ქალბატონი კლარა აკაკის სიკვდილის მერეც ამ სახლში ცხოვრობდა, შვილიც იქვე გააჩინა...

**– ძნელია განვმარტო რა არის ჩემთვის ეს სახლი** – გვეუბნება ქალბატონი კლარა მაჭარაშვილი – **ამ პატარა სივრცეში ჩემთვის თავს იკრებს და სახიერდება: სამშობლოც, წინაპრებიც, ქართული პოეზიაც...**

1937 წელს, მამაჩემი რომ დაიჭირეს, სამი თვის მერე დავიბადე. დედაჩემი და ანიკო წერეთელი უვლიდნენ ამ სახლს. სანამ სახელმწიფო მუზეუმად გადაკეთდებოდა, მე აქ ვცხოვრობდი...

კარგად მახსოვს, ამ ეზოში, ამ



სოხუმი

გარემოში ათეული წლების მანძილზე მომსვლელთა საუბრები, მათი განუმეორებელი სახეები... აქ, ამ პასტორალური პეიზაჟების ფონზე საქართველოს უახლოესი ისტორიის ექოც ისმის.

1993 წელია. სექტემბრის ბოლო დღეები. ეს არის ის დღეები, როცა დავკარგეთ, მტერს ჩავაბარეთ საქართველოს განუყოფელი ნაწილი – აფხაზეთი.

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეებში აკაკისეულ ეზოში გაფითრებული სახით შემოვიდა **მუხრან მაჭავარიანი.** სახეზე დიდი წუხილი აღბეჭდოდა მასაც და მის თანხმლებ პირებსაც: საჩხერლებს, კობა შარვაძეს, ნინო შარვაძეს, ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრს გია კუჭაშვილს. ბატონ მუხრანს თან ახლდა მეუღლეც – ქალბატონი ლამარა ბოკერია.

**ყოველთვის ბობოქარი მუხრან მაჭავარიანი დუმდა, მერე მიუახლოვდა ეზოს შუაგულს, ძველისძველ აკაკისეულ კაკლის ხეს... იქვე ჩაიმუხლა... მუხლებზე დაეცა... მდუღარე ცრემლით, ქვითინით, თითქოს დიდ მგოსანთან ერთად გამოიტირა თავისი დაცემული სამშობლო...**

ეს საოცარი სანახაობა იყო. ვტიროდით ყველა... ალბათ აკაკის ლანდიც... აკაკი წერეთელმა „სამშობლოს მოზარე“ უწოდა საკუთარ თავს...

„წავალ, მივმართავ იმ წინაპართა გუნდს,
სამშობლოს მსხვერპლად რომ შეწირულან...“



სხვიტორი

* * *

ღამით, გამოთხოვებისას ბატონმა მუხრან მაჭავარიანმა რვეულში თავისი ავტოგრაფი დაგვიტოვა:

### აკაკის

ტყე როა მწვანე,
ცა როა ლურჯი,
ზღვა როა წყნარი,
მზე როა გულში.
ავხედავ ზეცას,
ხმა მესმის მისი,
დავხედავ მიწას,
ხმა მესმის მისი.
ქცეულა ზეცად,
ქცეულა მიწად,
საქართველოში გაჩენის ღირსი,
საქართველოში დამარხვის ღირსი.

IX.93.
**მუხრანი.**



---



# მარადიული სიყვარულის არსებობა მეცნიერულად დადასტურდა

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ხანგრძლივი დაკვირვების შემდგომ აღმოაჩინეს, რომ წყვილების გარკვეული ნაწილი ოცი წლის შემდეგაც ინარჩუნებენ სიყვარულს (და არა მხოლოდ შეჩვევას!) თავდაპირველი მიზიდულობით.

აქამდე არსებულ მეცნიერულ შეხედულებათა თანახმად, ითვლებოდა, რომ გრძნობები შეყვარებულ ადამიანთა შორის მალე ქრება, ნელდება. ნამდვილი ურთიერთლტოლვა და სიყვარული ერთად შერწყმიდან მხოლოდ 15 თვეს გრძელდება. ათი წლის შემდეგ კი მათი ურთიერთობის განსაკუთრებული ხიბლისგან თითქმის აღარაფერი რჩება.

ამასთან ერთად ზოგიერთი მეცნიერი ურთიერთობისთვის კრიტიკულ ფაზად ასახელებს, ერთ, სამ ან შვიდ წელიწადს.

უახლესმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ სიყვარული არის იმდენად ძლიერი ფსიქოლოგიურ-ემოციური გრძნობა, რომ სულიერ და გონებრივ ფაქტორებთან ერთად მასში ერთვება მთელი ფიზიკური ორგანიზმი. დადგენილია, რომ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის დროს ადამიანის ტვინში ძლიერდება, მრავლდება განსაკუთრებით რთული ჰორმონი – დოპამინი.



იმ ადამიანებს, რომლებიც წლების მერე აცხადებდნენ, რომ გრძნობები დროში არ იცვლება, სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელი დოქტორი არტურ არონი სხვა ექსპერიმენტსაც სთავაზობდა.

ტომოგრაფიის რეზულტატმა, თავის ტვინის სკანირებამ საინტერესო შედეგები აჩვენა: იმ ადამიანთა თავის ტვინში, რომლებიც 20 წლის მერეც აგრძელებენ ურთიერთსიყვარულს, დოპამინის ჰორმონები იმავე დოზითაა შენარჩუნებული, რაც სიყვარულის პირველი აფეთქების დროს ჩნდება ადამიანში, ის გავს ცეცხლს, რომელიც არ ნელდება.

ამ აღმოჩენამ დაადასტურა, რომ გავრცელებული აზრი სიყვარულის გრძნობის წარმომავლობაზე არ გახლავთ სწორი.

ადამიანის ტვინი ფიზიოლოგიურადაც ამტკიცებს და ალბათ ასეცაა, რომ მარადიული სიყვარული შესაძლებელია.

ძველი ინდუსები ამბოდნენ: „არსებობს ადამიანთა ურთიერთლტოლვის სამი წყარო: სული, გონება და სხეული. სულთა მიზიდულობა წარმოშობს მეგობრობას, გონებათა მიზიდულობა – პატივისცემას, სხეულებრივი მიზიდულობა – სურვილს. სამივე ერთად კი ბადებს ნამდვილ სიყვარულს“...

სიზუსტისთვის ალბათ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ნამდვილი სიყვარულია მარადიული.

*მეცნიერებაც და პოეზიაც...*

## გალაკტიონ ტაბიძე მეუღლეს – ოლია ოკუჯავას

– ოლკინ, ძვირფასო ოლკინ, უსათუოდ ჩამოდი მალე, თორემ თავს მოვიკლავ... ასე აღარ შემიძლია. როცა შენთან ვარ, ოლკინ, არასდროს ასეთი საქმე არ დამემართება. მაინც რა სულელურადაა მთელი ცხოვრება მოწყობილი. არაფერს იგი არ ჰგავს. სახსნელი გზა არსადაა, პირდაპირ... ოჰ, ნეტავი ეხლა შენთან ვიყო, ყველაფერს გეტყოდი...

ოკლინ, მითხარი, გიყვარვარ ძველებურად? მე მგონია, არა!.. ჩემგვარი კაცი განა შეიძლება ვისმეს უყვარდეს? დადებითად ძლიერი ჩემში არაფერი არ არის. რომ ვიყო ბაირონი, ლერმონტოვი, გიოტე... მაშინ შემიყვარებდნენ. მე კი ისე პატარა და დაწვრილმანებული კაცი ვარ... მაგრამ არაფერია, „мт эწე пოვოყემ“. შენ ის მითხარი, გიყვარვარ ძველებურად?

მე კი ისევ ძველებურად, გაგიჟებით და დიდი სიყვარულით მიყვარხარ!..

**მშვიდობით, გკოცნი, გკოცნი და გკოცნის შენი მარადის და მარადის იქითაც გალაკტიონი.**



**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამერიკის შეერთებული შტატები მეგობარი უნდა იყოს როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის

**დღეს, როდესაც ობამას ადმინისტრაციას განზრახული აქვს რუსეთთან ურთიერთობა „დაიწყოს სუფთა ფურცლით“, რათა მოახდინოს უკანასკნელ წლებში წარმოქმნილი დაძაბულობის ლიკვიდაცია, არსებობს მეტად მყარი საფუძველი მოსკოვთან თანამშრომლობისა მთელი რიგი მიმართულებებით – დაწყებული ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლით და დამთავრებული მსოფლიო ფინანსებში წესრიგის დამყარებით.** მაგრამ ასეთივე მყარი არგუმენტები, როგორც ჩანს, მეტყველებენ იმის აუცილებლობაზეც, რომ საჭიროა დავიცვათ პატარა დემოკრატიული სახელმწიფოების თავისუფლება და დამოუკიდებლობა. უნდა შევასრულოთ ორივე ეს ამოცანა ერთდროულად.

ერთ-ერთი საშუალება, რომელიც დაგვეხმარება, მხარი დავუჭიროთ ისეთ მოკავშირეებს, როგორიცაა საქართველო და ამავე დროს აქტიურად დავიცვათ ჩვენი საერთო სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები რუსეთთან ერთად, არის ის, რომ მოვახდინოთ ყურადღების კონცენტრაცია იმ სფეროებში, სადაც შეგვიძლია მოვუტანოთ რეალური სარგებელი ერთ-ერთ მხარეს და არ ვავნოთ მეორე მხარეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, შეერთებულმა შტატებმა უნდა დადოს საქართველოსთან შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ; დღეს ჩვენ განზრახული გვაქვს შევიტანოთ კონგრესის განსახილველად პროექტი შესაბამისი რეზოლუციით.

თუ ზოგიერთს შეცდომით მიაჩნია, რომ კონსტრუქციული ურთიერთობის მოწესრიგება ორივე ქვეყანასთან ერთდროულად შეუძლებელია, მაშინ ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ წინააღმდეგობას მოსკოვის წინადადებასთან დაკავშირებით – „დავიწყოთ ყველაფერი თავიდან“ და იმისთვის მზადყოფნას შორის, რომ უზრუნველვყოთ მისი მეზობლებისთვის უფლება, თავად აირჩიო საკუთარი ბედი. რასაკვირველია, ზოგჯერ თავად მოსკოვი და მისი მეზობლები განიხილავენ საერთაშორისო სიტუაციას პრინციპით – „თამაში ნულოვანი ჯამიდან“ და ზოგჯერ მათი ინტერესები ეჯახება საპირისპიროს, როგორც ეს მოხდა შარშან აგვისტოში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ რუსეთის ტანკები. მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება ასეთივე თვალსაზრისით განვიხილოთ ჩვენი ურთიერთობანი ამ ქვეყნებთან.

საქართველოს, რომელიც დაძაბულობის წერტილი იყო, დიდი მნიშვნელობა აქვს უფრო ეფექტიანი მიდგომების თვალსაზრისით. ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანა განიცდის გაჭირვებას ერთბაშად ორი კატასტროფის შედეგად: მალე მის შემდეგ, რაც საქართველოში შეწყდა რუსეთის რაკეტების დაცემა, იგი დააზიანა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. აუცილებელია, რომ დავეხმაროთ საქართველოს, რათა მან თავი გაართვას ამ უბედურებებს, თანაც ისე, რომ არ შევუქმნათ საფრთხე რუსეთს. შარშან ჩვენ ძირითადად ვასრულებდით ნაკისრ ვალდებულებას – დავეხმარებოდით საქართველოს მილიარდი დოლარის ოდენობით ომისშემდგომი აღდგენითი საჭიროებისთვის, მაგრამ ხანგრძლივი გეგმით მას უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა საქონელბრუნვის გადიდება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ომისწინა 12 თვის განმავლობაში საქონლის მიმოქცევა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის შეადგენდა 580 მილიონ დოლარს – და აქ არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი ზრდისთვის.



შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ პატარა ქვეყანასთან, რომელიც მდებარეობს დედამიწის მეორე მხარეს, არ გადაიქცევა ნეგატიურ მოვლენად ამერიკის მშრომელებისთვის, მაგრამ მას ქართველი ხალხისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, რაც ბევრად სჭარბობს მის წმინდა კომერციულ შედეგებს. ჯერ ერთი, თავად მოლაპარაკების დაწყება ამ თემაზე განსაკუთრებით აამაღლებს ინვესტორების ნდობას საქართველოსადმი და მოიზიდავს ქვეყანაში მისთვის ასე აუცილებელ უცხოურ ინვესტიციებს. იორდანიასთან ანალოგიური შეთანხმების შედეგები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ სავაჭრო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით მისი ძალაში შესვლამდეც კი შეიძლება გახდეს სტიმული საერთაშორისო საქმიანი წრეებისთვის მაშინაც კი, თუ საქმე შეეხებოდა არამშვიდ რეგიონს. შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის, ასევე შეუძლია მოგვცეს იმპულსი ანალოგიური შეთანხმებებისთვის თბილისსა და ევროკავშირს შორის. ეკონომიკური კავშირურთიერთობათა მოწესრიგება საქართველოსა და დასავლეთს შორის, განსაკუთრებით მის მახლობლად მდებარე ევროკავშირის ქვეყნებს შორის – მეტად უსაფრთხო სტრატეგიული გეგმაა, რაც დაეხმარება ქართველ ხალხს მის დემოკრატიულ და ეკონომიკურ მისწრაფებებში.

მეორეც, ორმხრივი სავაჭრო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოგვცემს საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გაღრმავების იმპულსს. ქართველი ხალხი მთლიანად უჭერს მხარს დემოკრატიას, მაგრამ გზა სტაბილურობისკენ, ეფექტიანი და სრული დემოკრატიული წყობილებისკენ რთულია. ეკონომიკური კავშირურთიერთობების განმტკიცება საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ თბილისისთვის მიცემული დაპირებების შესრულება კანონის უზენაესობისა და იმ ინსტიტუტების მშენებლობის თვალსაზრისით, რომლებიც ქმნიან ფუნდამენტს დემოკრატიული წყობილებისთვის ისევე, როგორც ეკონომიკური აყვავებისთვის.

დაბოლოს, ვერსად გავექცევი გეოგრაფიასაც: დროთა განმავლობაში საქართველო და რუსეთი განაახლებენ აქტიურ სავაჭრო კონტაქტებს. დღევანდელი დაპირისპირება საზიანოა ორივე მხარისთვის. შარშანდელ კონფლიქტამდე დიდი ხნით ადრე რუსეთმა შეწყვიტა სატრანსპორტო ურთიერთობა საქართველოსთან და შემოიღო ემბარგო მის საექსპორტო საქონელზე – მინერალურ წყალზე, ხილზე, ბოსტნეულსა და ღვინოზე. ამ შეზღუდვათა გაუქმება იქნებოდა პოზიტიური ნაბიჯი მოსკოვის მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად დაძაბულობის ზრდისა აგვისტოს ომის წინაპერიოდში, საქართველოს ხელისუფლება არ უწევდა წინააღმდეგობას რუსეთის ინვესტიციებს ქვეყანაში, მაშინაც კი, როდესაც საკითხი შეეხებოდა ინფრასტრუქტურას, სფეროს, რომელშიც სხვა ქვეყნები ხშირად არ აბანდებენ კაპიტალს, თუნდაც ყველაზე მეგობრული მეზობლების სასარგებლოდ. საბოლოოდ რუსული და დასავლური ინვესტიციები უნდა „არსებობდნენ ერთდროულად“ ჯანსაღ ატმოსფეროში დემოკრატიულ საქართველოში, რისი სუვერენიტეტიც დაცული იქნება.

ისტორია გვასწავლის, რომ სწორად მოწყობილი სავაჭრო ურთიერთობანი ხელსაყრელია ყველა მხარისთვის. იგივე უნდა ითქვას დემოკრატიაზეც. ჩვენ უნდა ავამოქმედოთ ორივე ეს ინსტრუმენტი რუსეთთან დასაახლოებლად ისე, რომ არ შევწყვიტოთ მხარდაჭერა საქართველოსთვის – ჩვენი მეგობრისა და მოკავშირისთვის.

**ჯონ ფ’კერი,**
**დევიდ დრაიერი**

The Washington Post

# მიხეილ სააკაშვილი – „ჰუსარი“ კავკასიიდან

**ფრანგული „ლე მონდი“ აქვეყნებს კორესპონდენტ ნატალი ნუგაირედის მიხეილ სააკაშვილთან საუბრის ამონარიდებს.** როგორც გამოცემა აღნიშნავს, საქართველოს რუსეთის იმპერიასთან 1801 წელს მიერთების მომენტიდან „რუსეთის ყველა სტრატეგმა იცოდა: რომ იბატონო კავკასიაზე, უნდა იბატონო თბილისზე“. პრეზიდენტი სააკაშვილი საუბრობს თავისი ქვეყნის სტრატეგიულ მდებარეობაზე, რომელიც იმყოფება ნახშირწყალბადების მიწოდების გზაზე შუა აზიიდან: „თუ საქართველო დაეცემა, ევროპა დაკარგავს გაზის მიწოდების ალტერნატიულ გზას“. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, სწორედ ეს ენერგეტიკული არგუმენტი უდევს საფუძვლად ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესს საქართველოსადმი. სააკაშვილის სიტყვებით, „იქნებოდა ტრაგედია, თუ რუსებთან მოლაპარაკების გამო ამერიკელები შეწყვეტდნენ ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერას“.

საქართველოს პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ მიიღებს ამერიკელებისგან ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს და საჰაერო თავდაცვის სისტემებს თავდაცვის უზრუნველყოფისთვის. „ეს არის გადაუდებელი ამოცანა, რუსები 40 კილომეტრზე არიან თბილისიდან“, – მოჰყავს გამოცემას სააკაშვილის სიტყვები. ის მიიჩნევს, რომ მას არჩევანი არ ჰქონდა, როდესაც გასცა ბრძანება ცხინვალის დაბომბვის შესახებ: მისი სიტყვებით, რუსების ტანკები შემოიჭრნენ ქვეყანაში, დაიწყო სროლები ქართველებსა და ოსებს შორის. რუსეთი ეძებდა საბაბს, რათა მოეხდინა საქართველოს დესტაბილიზაცია და გაენადგურებინა მისი შანსები ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებისთვის.

„მის წინაშე იყო დილემა. მან აირჩია სამხედრო მოქმედებანი. მას იმედი ჰქონდა დასავლეთის აქტიური რეაქციისა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები განზე დადგა. ევროპა კი მყიფე დაზავების ტექსტის შეთანხმების შემდეგ მუდმივად თმობდა პოზიციებს, საშუალებას აძლევდა რუსებს დაუსჯელად დაერღვიათ ეს შეთანხმება და ემოქმედათ თავისი შეხედულების მიხედვით“, – წერს გაზეთი.

გასული ცხრა თვის განმავლობაში სააკაშვილი დემოკრატიის „გმირიდან“ და რეფორმების „ჰუსარიდან“ ბევრი დასავლელი მოღვაწის თვალში გადაიქცა სიმშვიდის დამრღვევად, რომელიც მზად არის მოახდინოს გაღიზიანებული რუსი ლიდერების პროვოცირება. ევროპელი ექსპერტის სიტყვებით, „დასავლეთში ზოგიერთი მას გიჟად მიიჩნევს, ეს ეხმარება მათ დაივიწყონ უკანდახევა მოსკოვის პირისპირ“.

ამ კონტექსტში საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობაში“ განსაკუთრებით სასურველია სააკაშვილისთვის. ქვეყანაში არის უკმაყოფილებათა აფეთქების საშიშროება. ეკონომიკაში, მიუხედავად დასავლეთის დახმარებისა, შეინიშნება მკვეთრი დაცემა. ოპოზიცია ყოველმხრივ ცდილობს გაამასხარაოს სააკაშვილი. აქვს საქართველოს ხელისუფლებას ბნელი მხარეც, მისი განსახიერებაა – რეჟიმის საყრდენი, შინაგან საქმეთა ყოვლისშემძლე მინისტრი ვანო მერაბიშვილი. თბილისში მისი სახელის ხსენებაც კი იწვევს შეშფოთებას. „ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების 17 წლის შემდეგ იგი კვლავ აგრძელებს საბჭოთა ეპოქის აჩრდილებთან ბრძოლას“, წერს გაზეთი. ზემოქმედება ოპოზიციაზე, კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, მანიპულაციები მართლმსაჯულებასთან – ყოველივე ამას „მკაცრად აკონტროლებს რეჟიმის ფრთა, რომელსაც „მიშა“ ანიჭებს მოქმედებათა თავისუფლებას“. ოპოზიციის წარმომადგენლის პეტრე მამრაძის აზრით, ქვეყანა დაეშვა ოლიგარქიული ხელისუფლებისკენ. „ვანო“ უკვე ამტკიცებს, რომ ოპოზიცია ღებულობს ფულს რუსეთიდან. გამოცემა აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი არ წარმოადგენს არავითარ დამადასტურებელ საბუთს, რუსეთის სპეცსამსახურები მართლაც აქტიურდებიან, კრემლი საქართველოს მიიჩნევს თავისი „პრივილეგირებული ინტერესების ზონად“ და აქტიურად მოუწოდებს სააკაშვილის გადადგომისკენ.

კორესპონდენტთან საუბრის დროს სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ვლადიმერ პუტინი 2004 წლიდან საქართველოს ორ ძირითად მოთხოვნას უყენებდა: მიეყიდა „გაზპრომისთვის“ გაზსადენების ქართული სისტემები და მიენიჭებინა რუსეთისთვის კონტროლის უფლება სპეციალური სამსახურების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების დანიშვნაზე. შეერთებული შტატები სულ სხვა მოთხოვნებს აყენებს: თუ მას სურს მეტი დახმარება, საჭიროა პირველ რიგში გააკეთოს სტრატეგიული არჩევანი უფრო ფორსირებული დემოკრატიის სასარგებლოდ.

აი ახალი არჩევანი, რომლის წინაშეც აღმოჩნდა კავკასიის „ჰუსარი“: პოლიტიკური სიმკვირცხლის დასუსტებით იგი შეიძლება მოიპოვებდა კიდეც სიმპატიებს, შექმნიდა სუსტი ადგილების საშიშროებას, რასაც მოსკოვი უმალვე გამოიყენებდა. იგი აჭიანურებს დროს, ეჭიდება ყოველივე მას, რაც უკვე გააკეთა. მას უნდოდა, რომ დასავლეთმა გაიგოს – საქართველოს დახმარება ნიშნავს დახმარებას სააკაშვილისთვის. მის ქვეყანას, მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტს, არ აქვს საერთაშორისო უშიშროების არავითარი გარანტია: „რუსები წავლენ ნებისმიერ დესტაბილიზაციაზე ჩემს წინააღმდეგ“, – მოჰყავს გამოცემას მისი სიტყვები.

Le Monde.fr

## დედამიწის ზურგზე



**ესტონეთში, გამარჯვების წინა დღეს, გაჭირვებით მოახდინეს სსრ კავშირის გმირის არნოლდ მერის შესახებ წიგნის პრეზენტაცია**

**არნოლდ მერის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო უკანასკნელ მომენტამდე საფრთხის წინაშე იყო. მოიჯარეები სხვადასხვა საბაბით უარს ეუბნებოდნენ საღამოს ორგანიზატორებს შენობის თხოვებაში. საბოლოო ჯამში მერის შესახებ ფილმისა და წიგნის პრეზენტაცია მოაწყვეს რუსეთის საელჩოში.**

* * *

**იაპონიის ელჩი დათანხმდა მედვედევის წინადადებას, გადაიჭრას სამხრეთ კურილიის პრობლემები „არატრადიციულად“ და სწრაფად**

**რუსეთის ლიდერი დაპირდა, რომ გაერკვევა საკითხში სადავო კუნძულების მიკუთვნების შესახებ და არ გადასცემს მას მომავალ თაობებს, აღნიშნავს მასახურუ კონო. უკანასკნელ პერიოდში იაპონიის ხელისუფლებამ კვლავ დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ არ დაყოფს სამხრეთ კურილიის კუნძულებს და სურს მათი მთლიანად მიღება.**



* * *

**ღორის გრიპით შეიძლება დაავადდეს ორი მილიარდი ადამიანი, გვაფრთხილებს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია**

**თუ დაავადებათა აფეთქება გადაიზრდება პანდემიაში, პირველ რიგში დაზიანდებიან განვითარებული ქვეყნები. იქნება თუ არა პანდემია, ჯერ არავინ იცის: ეს ცნობილი გახდება მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ.**

**არგენტინამ აღიარა, რომ ქვეყანაში გაჩნდა პირველი დაავადებული ღორის გრიპი. ბრაზილიაშიც დაადასტურეს ღორის გრიპით დაავადებათა პირველი ოთხი შემთხვევა.**

* * *

**ნიკარაგუა მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთთან ახალი შვეულმფრენებისა და თვითმფრინავების შესყიდვის შესახებ**

**ცენტრალური ამერიკის ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს სჭირდებათ 4-დან 8-მდე ახალი შვეულმფრენი და ორი თვითმფრინავი. ამას გარდა, ორი თვითმფრინავი მოითხოვს გეგმიურ მომსახურებასა და რემონტს. ახალი საავიაციო ტექნიკა ამოქმედდება ნარკოტრაფიკთან ბრძოლაში.**



# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 25 მაისს 13:00 საათზე, ვანში, თავისუფლების №65-ში (ვანის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსს „ბზვანი"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. თვითმცლელი ავტომობილი „მმზ-45021", გამოშვებული 1984 წელს, ძრავის №605708, შასი №2289538 – შეფასებულია 5000 ლარად;
2. კანტორის შენობა, ორსართულიანი, აშენებულია ქვით, აგურითა და ბლოკით – 442 კვ.მ. – შეფასებულია – 15000 ლარად;
3. ადმინისტრაციის შენობა, ერთსართულიანი – 370 კვ.მ. – შეფასებულია 2500 ლარად;
4. სასუქის მიმღები, აშენებულია გვიშტიბის ბლოკით – 50 კვ.მ. – შეფასებულია – 150 ლარად;
5. საყარაული, ერთსართულიანი, აშენებულია ბლოკით – 15 კვ.მ. – შეფასებულია – 250 ლარად;
6. ფერმის ბინა, ერთსართულიანი, აშენებულია ბლოკითა და რკინა-ბეტონის ფილებით – 1669 კვ.მ. – შეფასებულია – 70000ლარად;
7. კაცის ბინა, აშენებულია ქვით – 18,6 კვ.მ. – შეფასებულია – 450 ლარად;
8. შესაწამლი აპარატი „ოჰ-1200" – შეფასებულია – 150 ლარად.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 93500 (ოთხმოცდაცამეტიათას ხუთასი) ლარს.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 25 მაისს 12:00 საათზე, ჭიათურაში, ნინოშვილის №7-ში (ჭიათურის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „გეორგია"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ადმინისტრაციული შენობა, ოთხსართულიანი, აშენებულია სამშენებლო წვრილი ბლოკითა და აგურით – 1294,1 კვ.მ. – შეფასებულია – 35000 ლარად.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 35000 (ოცდათხუთმეტიათასი) ლარს.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 25 მაისს 14:00 საათზე, ვანში, თავისუფლების №65-ში (ვანის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსს „ტობანიერი"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ელ.წისქვილი (ტობანიერში), აშენებულია ბლოკით – 45 კვ.მ. – შეფასებულია – 800 ლარად;
2. ელ.წისქვილი (კოშიბოურში) – 16 კვ.მ. – შეფასებულია – 800 ლარად;
3. ხის შენობა (ბიბლიოთეკა) – 50 კვ.მ. – შეფასებულია – 2500 ლარად;
4. ავტომობილი „ზილ-131", სარეგისტრაციო №70-41 – შეფასებულია – 1000 ლარად;
5. ტრაქტორი „მტზ-80"-ის მისაბმელი – შეფასებულია – 500 ლარად;
6. ტრაქტორი „მტზ-80", სარეგისტრაციო №74-60 – შეფასებულია – 3000 ლარად;
7. ავტომობილი „გაზ-53-12", სარეგისტრაციო №დაგ978 – შეფასებულია – 3000 ლარად;
8. ავტომობილი „გაზ-52-04", სარეგისტრაციო №65-32 – შეფასებულია – 2000 ლარად;
9. ავტომობილი „გაზ-5201" – სახ №72-08 – შეფასებულია – 350 ლარად;
10. ავტომობილი „გაზ-52-04", სარეგისტრაციო №დაპ-072 – შეფასებულია – 2000 ლარად;
11. ავტომობილი „ზილ-130", სარეგისტრაციო №72-07" – შეფასებულია – 1200 ლარად;
12. ტრაქტორი –ტ-150 „კ", სარეგისტრაციო №74-16 გლ – შეფასებულია – 4000 ლარად;
13. ტრაქტორი „ბელორუსი – მტზ-80-01" – შეფასებულია – 150 ლარად.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 21300 (ოცდაერთიათას სამასი) ლარს.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

---

## განცხადება

### სს „თამ" (თბილავიამშენის) აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „თამ"-ის (თბილავიამშენი) დირექტორთა საბჭო იწვევს საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2009 წლის 29 მაისს, 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. №181.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „თამ"-ის 2008 წლის წლიური ანგარიშის წარმოდგენა;
2. სს „თამ"-ის დირექტორთა საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
3. სს „თამ"-ის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. სს „თამ"-ის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ;
5. აუდიტორის არჩევის შესახებ.

სს „თამ"-ის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საზოგადოების აქციონერთა მორიგი საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2009 წლის 24 აპრილი.

**სს „თამ"-ის დირექტორთა საბჭო**

---

**2009 წლის 29 მაისს, 12 საათზე, გაიმართება სს „თავთუხის" აქციონერთა საერთო კრება მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის ქ. №2.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. აუდიტორის არჩევის შესახებ;
3. უძრავი ქონების საკითხის განხილვა;
4. სხვადასხვა.

აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნულია 2009 წლის 25 მაისი. აქციონერებს კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ აქციათა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის ქ. №2, ტელ. 899-54-23-20.

**დირექცია**

---

## დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2009 წლის 8 მაისის ნომერში გამოქვეყნდა სს „საქელექტრომანქანის" კრების შესახებ განცხადება, სადაც გენდირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით საერთო კრებისადმი მიცემული რეკომენდაციების მე-6 პუნქტში გაიპარა შეცდომა. უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: **6. სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობა არ ჩაითვალოს მიზანშეწონილად.**

---

**2009 წლის 27 მაისს სააქციო საზოგადოება „სინემა კლუბი" ატარებს აქციონერთა საერთო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სს „სინემა კლუბის" 2008 წლის წლიური ანგარიშის მოსმენა (განხილვა);
2. სს „სინემა კლუბის" სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3. აუდიტის არჩევა.

დასაწყისი 12 საათზე. მისამართი: ძმები კაკაბაძეების ქ. №2, „კინოს სახლის" მცირე კინოდარბაზი

**სს „სინემა კლუბის" დირექცია**

---

## სს „ფეიქარი-95"-ის აქციონერთა საყურადღებოდ!

**2009 წლის 10 ივნისს 15 საათზე, ქ. თბილისის მიტრ. ლალიძის ქ. №21-ში ადმინისტრაციულ შენობაში ტარდება სს „ფეიქარი-95"-ის აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. საზოგადოების წლიური ანგარიშისა და სამეურნეო საქმიანობის განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
3. სხვადასხვა.

აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად აღებულია 27 მაისი. აქციონერებს თავიანთი უფლებების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ეროვნული რეესტრი".

**დირექტორი**
**ჯემალ ალიბეგაშვილი**

ეროვნული ჩემპიონატი

# ვინ ვის?

**საიუბილეო XX ეროვნული ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ტური დარჩენილი, გამარჯვებულის ვინაობა კი ბურუსითაა მოცული.**

და აი, ხვალ 16 საათსა და 15 წუთზე ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე თბილისის „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" ცენტრალური მატჩია დანიშნული, რომლის შედეგზეც ბევრი რამაა დამოკიდებული.

შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ ვეტერინარები სახელოვან უშუალო კონკურენტს 3 ქულით უსწრებენ, ასე რომ, თუ ამჯერად არ დამარცხდებიან, ცალი ფეხით უკვე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შეგვიძლია დავიგულოთ.

კი მაგრამ, თუ „თეთრ-ლურჯებმა" იმარჯვეს? — დაგებადებათ ალბათ კითხვა. დაინტერესებულ გულშემატკივარსა და მკითხველს ვაუწყებთ, რომ ბრძოლის ტოლი ქულებით დასრულების შემთხვევაში უპირატესობა დებულებით მეტი მოგების გამო კახი კაჭარავას შეგირდებს მიენიჭებათ.

**გია პლატონიშვილი**

ძიუდო

# დღეს და ხვალ აფრიკულ ტატამზე



**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები შოთა ხაბარელისა და ბიძინა მოხევიშვილის ხელმძღვანელობით ტუნისს გაემგზავრა გრან-პრიზე საასპარეზოდ. შეჯიბრებაში 30 ქვეყნის 250-მდე წარმომადგენელი იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის.** ჯვაროსანთა სპორტულ ღირსებას დაიცავენ ამირან პაპინაშვილი, ლევან ჩუბინიძე (ორივე — 60 კგძ, შალვა ქარდავა, სანდრო იაკობაშვილი (ორივე — 66ძ, მინდია ხომიზური, თენგიზ პაპოშვილი (ორივე — 73ძ, ხვიჩა ხუციშვილი (81ძ, საბა გავაშელიშვილი, ზვიად გოგოჭური (ორივე — 90ძ, ლევან ჟორჟოლიანი, დავით ლორიაშვილი (ორივე — 100ძ, ზვიად ხანჯალიაშვილი და ნოდარ მეტრეველი (ორივე — მძიმე წონაძ. ნაკრების ხელმძღვანელებმა ამჯერად ევროპის ჩემპიონატის წლევანდელ პრიზიორებს — ნესტორ ხერგიანს (60ძ, ლევან წიკლაურსა (81ძ და ვარლამ ლიპარტელიანს (90ძ დასვენების უფლება მისცეს. ტუნისში უნდა წასულიყო ათენის ოლიმპიადის გამარჯვებული ზურაბ ზვიადაურიც, მაგრამ ბოლო მომენტში ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი.

მასპინძელთა ინფორმაციით, 9-10 მაისს აფრიკულ ტატამზე ძალებს მოსინჯავენ გერმანელი ოლიმპიური ჩემპიონი ოლე ბიშოფი (81ძ, იაპონელი აზიის ჩემპიონი ჰიროაკი ჰიროაკა (60ძ, პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი თეა დონღუზაშვილი (რუსეთიძ და სხვა ცნობილი ძიუდოისტები.

**ვაჟა დანელია**

უეფას თასი

# მუსიკოსები თუ მაღაროელები?



**ბრემენის „ვერდერმა" 1992 წელს თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. და აი, ჩვიდმეტწლიანი პაუზის შემდეგ მუსიკოსები ახლოს არიან მორიგ ევროპულ ტრიუმფთან — 20 მაისს გერმანული კლუბის მაშინდელი წარმატების ერთ-ერთი მონაწილის თომას შააფის გაწვრთნილი გუნდი სტამბოლის „შუქრუ სარაჩოღლუს" სტადიონზე ფინალში დონეცკის „შახტარს" შეხვდება, რომელიც პირველად აფრინდა ასე მაღლა.**



**„ჰამბურგი" — „ვერდერი" 2:3 (პირველი მატჩი 1:0ძ**

**გოლები:** ოლიჩი (2ძ; დიეგო (2ძ, ბაუმანი.

მას შემდეგ, რაც ოლიჩმა ანგარიში გახსნა, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ დიკ იოლის შეგირდები ტურნირს გამოეთიშებოდნენ — მასპინძელთა საერთო უპირატესობა ხომ ორბურთიანი გახდა — 2:0. თუმცა ის, რაც შემდეგ მოხდა, მაინც არ უნდა შეფასდეს სენსაციად — გერმანელთაგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი. სარევანშო ბრძოლის გმირად სტუმართა ბრაზილიელი გამთამაშებელი დიეგო მოგვევლინა, რომელმაც ოლიჩის მსგავსად „დუბლი" შეასრულა. ძნელი სათქმელია, რამდენად დაეტყობა „ვეზერშტადიონის" ბინადართა თამაშს გადამწყვეტ რაუნდში სამხრეთამერიკელი ლიდერისა და პორტუგალიელი თავდამსხმელის ალმეიდას არყოფნა, რომლებმაც საპასუხო ნახევარფინალში მეორე ყვითელი ბარათი მიიღეს, მაგრამ იმის პროგნოზირება კი ნამდვილად შეგვიძლია, რომ ბუნდესლიგის წარმომადგენლები ნებისმიერ შემთხვევაში ყველასათვის მრისხანე მეტოქენი იქნებიან.

დავძენთ, რომ ამას წინათ ჰამბურგშივე გამართული ეროვნული თასის გათამაშების ნახევარფინალური დუელიც აღნიშნულ გუნდებს შორის „ვერდერმა" მოიგო პენალტების სერიაში, ხოლო ხვალ ისინი ბრემენში შეხვდებიან ერთმანეთს გერმანიის ჩემპიონატის კალენდრის მიხედვით.

**„შახტარი" — კიევის „დინამო" 2:1**

**(პირველი მატჩი 1:1ძ**

**გოლები:** ჟადსონი, ილსინიო; ბანგურა.

გადახედეთ მატჩის ოქმს: გაფრთხილება 2:4, კარისკენ დარტყმა 7:9, კუთხური 3:2, თამაშგარე მდგომარეობა 5:2, ჯარიმა 13:16, ბურთის ფლობა 53:47.

დიახ, ძალები დაახლოებით თანაბარია. მაშ, რის ხარჯზე იმძლავრეს დონბასელებმა? ალბათ, უფრო შედარებით მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით, თორემ წელგამართული პატრონი, კვალიფიციური მწვრთნელი და პროფესიონალი ლეგიონერი არც ერთს აკლია და არც მეორეს.

რაც შეეხება დონეცკში გამართულ საპასუხო ჯახს, ლოგიკური იქნებოდა, მისი ბედი დამატებით დროში ან პენალტების სერიაში გადაწყვეტილიყო, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე ილსინიომ ზუსტი დარტყმით დაასრულა სოლო-რეიდი.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# გაკოტრებას გადარჩა



**ბოლო წლებში კაუნასის სახელოვან საკალათბურთო კლუბ „ჟალგირისს" ვალები დაუგროვდა — საერთო თანხამ 7,5 მილიონ დოლარს მიაღწია.** ბალტიისპირელები გაკოტრებას ცნობილმა ლიტველმა მეწარმემ, შოტლანდიის საფეხბურთო კლუბ „ჰართსის" მფლობელმა ვლადიმირ რომანოვმა გადაარჩინა — „ჟალგირისის" აქციათა 75 პროცენტი შეიძინა, დანარჩენი 25 პროცენტი კი სახელოვან არვიდას საბონისს ეკუთვნის. ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ბიზნესმენმა კლუბის ვალების გასტუმრება იკისრა.

**გიორგი გაგუა**

ჩოგბურთი

# წინ ფინალური ზღუდეა

**ქართველი ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი ფლორენციის 25-ათასიან ტურნირში თამაშობს. ერთეულთა თანრიგში იგი უკვე გამოეთიშა შეჯიბრებას, წყვილებში კი ბრაზილიელ მონიკ ალბეკერკესთან ერთად განაგრძობს პაექრობას.** მათ მეოთხედფინალში მეორე ნომრად განთესილ სერბ თეოდორა მირჩიჩსა და ფრანგ ირენ პავლოვიჩს სძლიეს — 6:4, 6:0. ნახევარფინალში ფრანგებს — სტეფანი ვონგსოსა და კიმი ლაისნეს დაუპირისპირდებიან.



**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## მსაჯი ბრიტანეთიდან გაიპარა

**დიდი ევროპული ფეხბურთის — ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩის — ლონდონის „ჩელსისა" და ესპანური „ბარსელონას" — მთავარმა მსაჯმა ტომ ჰენინგ ევრებემ პოლიციის გაძლიერებული დაცვით ფარულად დატოვა ნისლიანი ალბიონი, რათა თავიდან აეცილებინა ის მუქარა, რაც ინტერნეტის საშუალებით მრავლად მიიღო ნორვეგიელმა. მან კი მატჩის მსვლელობისას მრავალი საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო.**

„ჩელსის" თაყვანისმცემლების აზრით, მათ გუნდს მსაჯმა ოთხჯერ არ მისცა ნაღდი თერთმეტმეტრიანი. 93-ე წუთზე კი იენესტას გოლით გათანაბრებულმა ანგარიშმა — 1:1 — გამარჯვება „ბარსელონას" მოუტანა.



„ჩელსის" ხელმძღვანელობა კატეგორიულად წინააღმდეგია განცხადებისა, თითქოს გულშემატკივრები შურისძიებით ემუქრებოდნენ მსაჯს. რაც კლუბის მიმართ უეფას სერიოზულ სანქციებს გამოიწვევს. ამ მუქარის შესახებ არსად, პოლიციაშიც კი ოფიციალური განცხადება არ შესულა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ბუკმეკერთა კანტორამ გადაწყვიტა, მსაჯის უპრეცედენტო შეცდომების გამო, შეტანილი ფსონის თანხას დაუბრუნებს ყველას, ვინც „ჩელსის" გამარჯვებას იმედოვნებდა.

## ფული სხვასაც გაუნაწილეთ!

**ასე მიმართა ინგლისის უმდიდრეს გუნდებს „მანჩესტერ იუნაიტედს", „ჩელსის", „არსენალსა" და „ლივერპულს" — დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრმა, კულტურის საქმეთა მდივანმა ენდი ბარნჰემმა.**



მან დასახელებული გუნდების ხელმძღვანელობას მოუწოდა ევროთასებში მოპოვებული ფული გადაუნაწილოს პრემიერ-ლიგის დანარჩენ გუნდებს. ბარნჰემის გაანგარიშებით, თითოეულ გუნდს შეხვდება 15-დან 40 მილიონამდე ევრო.

თავად ეს ჩინოვნიკი „ევერტონის" გულშემატკივარია და უნდა, რომ სპონსორებთან კონტრაქტებით, ტელეტრანსლაციებისთვის შემოსული 1 მილიარდი ევრო თანაბრად გადაუნაწილდეს 20 გუნდს.

ბარნჰემს აგრეთვე უნდა, რომ თითოეულ გუნდში იყოს ინგლისელი მოთამაშეების აუცილებელი რაოდენობა და ეს უნდა გამოჩნდეს პრემიერ-ლიგის მატჩებზეც.

## ბოლიდი შოკოლადზე იმუშავებს

**ალბათ მალე ავტორბოლა „ფორმულა-1" ერთად „ფორმულა-3"-ზეც ვილაპარაკებთ. იქამდე კი გაჩნდა ცნობა, რომ ბრიტანეთის უორიკის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა გააკეთეს ყველაზე სწრაფი ავტომობილის პროტოტიპი, ბიოსათბობზე რომ იმუშავებს.**

მანქანის ძრავა იმუშავებს მცენარეულ ზეთებზე და შოკოლადის ფაბრიკის ნარჩენებზე. ბოლიდის ნაწილები დამზადებულია მცენარეულ ბოჭკოებზე, რაც დაფუძნებულია სტაფილოსა და სხვა მისთანებზე. სავარძლები კი — სელის ბოჭკოსა და სოიოს ზეთის ქაფისგან.

ახალი მოდელის მაქსიმალური სიჩქარე საათში 230 კმ. იქნება. თუმცა ჯერ ის საზოგადოებისთვის არ წარუდგენიათ. გამოსაცდელად კი მხოლოდ საათში 95 კმ. სიჩქარით ამუშავეს.



როგორც ფიქრობენ, ახალი ბოლიდი ასპარეზზე მომავალ სეზონში გამოვა.

**აკადემია**

# ახალი წევრები უწმინდესმა და უნეტარესმა დალოცა

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ მიღება გამართა ახალი წევრების არჩევასთან დაკავშირებით (შესაბამისი სია ახლახან გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთშიძ. ცერემონიალზე მობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, აკადემიის საპატიო აკადემიკოსი ილია II მაღალი სასულიერო პირების თანხლებით.**

შეკრების გახსნისას, მიესალმა რა ძვირფას სტუმრებს, აკადემიის პრეზიდენტმა აღნიშნა, თუ როგორ ამაყობს ჩვენი აკადემია კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საპატიო წევრობით, აგრეთვე მსოფლიო პატრიარქის, ყოვლად უწმინდესის ბართოლომეოს პირველის საპატიო წევრობით. ცოდნა და რწმენა, მეცნიერება და სარწმუნოება, როგორც ამას ფიქრობენ, მაგალითად, მეცნიერების კორიფენი, თანამედროვე თეორიული ფიზიკის ფუძემდებლები მაქს პლანკი და ალბერტ აინშტაინი, კი არ ეწინააღმდეგებიან, კი არ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ ისინი ერთიმეორეს ავსებენ, ერთმანეთის მიმართ კომპლემენტარულნი არიან (ამ ტერმინის ნილს ბორისეული გაგებითძ.

ბატონმა თამაზმა ახლადარჩეული წევრების დალოცვა სთხოვა პატრიარქს.

– მეცნიერება უმაღლესი საუნჯე გახლავთ ჩვენი და არავის არა აქვს მასთან ავად შეხების უფლება, – ბრძანა უწმინდესმა. – მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო განათლებული და მორწმუნე არის მეგობარი ღვთისა.

მე ყურადღებით გავეცანი აკადემიის ახალ წევრთა სიას. ყველა ღირსეულია და ყველა დამილოცნია. ღმერთმა დაგლოცოთ, მრავალჟამიერი სიცოცხლე მოგცეთ, რომ კვლავაც ემსახუროთ საქართველოს, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა თავისი ხალის ცოდნითა თუ განსწავლულობით, ისევე როგორც გამორჩეულია ცოდნითა და რწმენით ყველა მართლმადიდებლური ეკლესიისაგან.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დამშვიდდეს ჩვენი ქვეყანა, ისედაც ბევრი პრობლემა გვაქვს. ქრისტე აღსდგა!

– ჭეშმარიტადო, შეაგება სავსე დარბაზმა.

...საფეხბურთო სკოლის „ოლიმპის“ მომღერალ ბიჭუნათა გუნდმა, ვისთანაც პატრიარქმა სამახსოვრო სურათი გადაიღო, საგალობლები შეასრულა.

**თამაზ ებანოიძე,**
**აკადემიის სპეც. კორ.**

**რეპორტაჟი წოპეს „პარლამენტიდან“**

# აირევი ივერია!

**იცოცხლეთ, ამწვანდა „ალექსანდრეს ბაღი“. მობიბინე კოინდარში აქა-იქ სისხლისფერი ყაყაჩოებიც ამობრიალებულა და ერთ შეხედვად ღირს. მაგრამ, „რაღაა იგი სინათლე?..“ უსუფთაობაა ირგვლივ. პრინციპის საკითხიაო, უთქვამს გიგი უგულავას, დაამთავრონ, ბოლო-ბოლო ეს საკნების ქალაქობია რუსთაველზე და ნაგავსაც ეშველებაო... ისე, რაღა დაგიმალოთ და ამ მიტინგებმა ზედმიწევნით გამოაჩინა ჩვენი „პარლამენტის“ (ქვეყნის პარლამენტისგან განსხვავებითძ სიცოცხლისუნარიანობა.** ბობოქრობს „უმრავლესობა“ რამაზის მეთაურობით, მაგ მიტინგების ბრალია, ეს ნაგავი და უწესრიგობაო, ოპოზიცია არა, „ფლავი“, ერთი შეწვი, მეორე მოხარშეო... ჰოდა, წაესევა „უმცირესობა“ ჩვამანიას მეთაურობით. ჩვამანია კბილებს მკურნალობს და მთლად კარგად ვერ გვაგებინებს სათქმელს, მაგრამ მეგრული სიფიცხე მაინც არ აკლია მის ტემპერამენტს. ბონდო რაჭველი და ირაკლი (ისიც ძირით რაჭველია, მაგრამ „ნახალოვკაშია“ გაზრდილიძ, მთელ საქართველოს აფრთხილებენ, რუსი აგერ არის – 40 კილომეტრში და, ცოტა ჭკუას მოვუხმოთ, არ გავაბრაზოთ, არ შემოგრიალდეს თბილისშიო.

მეტი რაღა უნდა გაბრაზდეს ეგ ჩემისა, რუსს, რაც უნდოდა, გააკეთაო, ღიზიანდება რამაზი. ჩვენ რომ თავს ვიკლავთ და ერთმანეთს არ ვინდობთ, წოპე ბაღის ლაბირინთებში სეირნობს, თან ჩვენკენ აქვს ყურადღება.

გიორგი ლეონიძის ძეგლის ირგვლივ რომ მაკლერების, ბინის მყიდველ-გამყიდველების რიარიაა (ირონიულად დასცქერის ზემოდან გოგლა ამ სანახაობასძ, ხანდახან იქიდანაც გვიერთდებიან და „ახურებენ“ პოლიტიკაზე, სულ მიშას ბრალია, ბინები რომ არ იყიდებაო, ხალხს საჭმლის ფული არ აქვს, ბინა როგორ იყიდონო, გაალატაკა ქვეყანა, მაგ ერის მოღალატემო.

ვინ არიან კაცო ესენი, რომ დგანან აქა და იგინებიან, იქნებ, სულაც, უშიშროებამ შემოაგზავნაო?! – ბუზღუნებს ზაზა.

არც უმაგისობაა, რომ იცოდეთ, ფრთხილად იყავითო, გვარიგებს ირაკლი. ვილას ეშინია, ბიჭო, მიუგდე ყური, რეები ისმის ოპოზიციონერთა ტრიბუნიდანო – ამშვიდებს ირაკლი. „მი-შა, წა-დი“! „მი-შა, წა-დი!“ – ნიავს მოაქვს რუსთაველიდან მომიტინგეთა სკანდირება.

ფაშფაშა ქალი გვიახლოვდება, მოდის მზესუმზირის კნატუნით, პირდაპირ ქვაფენილზე ყრის ჩენჩოს, პოლიტიკაზე კამათს რაღაი მოკრა ყური, შეჩერდა, უბოდიშოდ ჩაგვერთო: „დამთავრებულია მაგის საქმე, ეს რა ქნეს წუხელ, ხალხო, ჩემი მეზობლის გოგონას ათი ნაკერი ადევს თავზე, ძლივს გადარჩა!..“

ამრეზით მიაჩერდა რამაზი, პირდაპირ მიახალა, წადი, მოუსვი აქედანო, ქალიც ბუზღუნ-ბუზღუნით გაგვეცალა.

ასეა ყოველდღე გაპოლიტიკებულ „ალექსანდრეს ბაღში“, სადაც, ერთ დროს, ყაბახი იმართებოდა და თბილისელი დიდგვაროვნები სეირნობდნენ.

## ბრიჯიდ ბარდოს მეგობრები

**„ალექსანდრეს ბაღში“ მდებარე თეატრ „გლობუსის“ ავან-ჩავანი, „პარლამენტის“ შტატგარეშე წევრი (ვერ იცლის ჩვენთვისძ ბეგლარი კამათს გვაწყვეტინებს: „ე, ბიჭო, წამოდით, დამეხმარეთ... ლეკვის წკმუტუნი არ გესმით?! თავლია ჭაში ჩავარდნილა და ვეღარ ამოდის, ვერ ამომყავს, იქნებ ერთად ვუშველოთ!..**



მივაყურეთ. მართლაც ისმის თეატრის მხრიდან წკმუტუნი, წკავწკავი... მივაძექით ჭას. ამ ორი თვის წინათ ბაღს შემოჩვეულმა უპატრონო ძაღლმა რომ ლეკვები დაყარა, იმისია, აბუზული, აკანკალებული, საბრალო თვალებით მოგვჩერებია, მაგრამ ჩვენ ვერაფრით მივუდექით, თანაც არ გვემორჩილება, ეშინია. რა ვქნათ, აღარ ვიცით. ბაღის დაცვის ჩიატანის ბიჭი გვიერთდება. „ნახე, კოჭოია, იქნება, შენ მოუხერხო რამე“, – ეუბნება ბეგლარი. ჩაიკუნცხა კოჭოია, ხმადაბლა ესიყვარულება ლეკვს, „ფრთხილად, არ გიკბინოს, ბიჭო“, – არიგებს წოპე. ასე ფერებ-ფერებაში ქე არ ამოიყვანა ლეკვი დაცვის ბიჭმა?! დასვა ასფალტზე, კანკალებს ერთიანად ლეკვი, ახლა ჩვენც ვეფერებით წაბლისფერ საბრალო ცხოველს.

„აუ, ბრიჯიდ ბარდოს რომ დაენახა ეს მომენტი, ნაღდად მიგვიღებდა ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში“, – შაყიროზს რამაზი.

რაც უნდა თქვა, ყველა კმაყოფილი ვართ, ლეკვი უკვე ნებიერად მიფიცხებია მზეს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

**განცხადება – კონკურსი**

# მიენიჭებათ ღირსეულთ!

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის შემდეგი სახელობითი პრემიების მისანიჭებლად:**

1. **კორნელი კეკელიძის** სახელობის პრემია – ძველი ქართული ლიტერატურის დარგში;
2. **გიორგი ნიკოლაძის** სახელობის პრემია – ტექნიკის დარგში;
3. **დიმიტრი უზნაძის** სახელობის პრემია – ფსიქოლოგიის დარგში;
4. **ვარლამ თოფურიას** სახელობის პრემია – ქართველური ენების დარგში;
5. **შალვა ნუცუბიძის** სახელობის პრემია – ფილოსოფიის დარგში;
6. **კონსტანტინე გამსახურდიას** სახელობის პრემია – ქართულ მწერლობაში;
7. **კირიაკ ზავრიევის** სახელობის პრემია – სამშენებლო მექანიკის დარგში;
8. **ექვთიმე თაყაიშვილის** სახელობის პრემია – ისტორიის, არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგში;
9. **ალექსანდრე ნათიშვილის** სახელობის პრემია – მედიცინის დარგში;
10. **ალექსანდრე ჯანელიძის** სახელობის პრემია – გეოლოგიის დარგში;
11. **ელეფთერ ანდრონიკაშვილის** სახელობის პრემია – ფიზიკის დარგში;
12. **მიხეილ ნოდიას** სახელობის პრემია – გეოფიზიკის დარგში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა ან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს, თვალსაჩინო მოღვაწეებს თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო ნაშრომისათვის ანიჭებს გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელობის პრემიებს.

**პრემიების მინიჭება ხდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მეცნიერების დღესთან (10 ნოემბერი) დაკავშირებით.**

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები.

კოლექტიურ ნაშრომებში პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს, რასაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია და აკადემიის საექსპერტო კომისია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იქნეს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებში, ან ცალკეულ პირთა მიერ.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები, მაგრამ გამოცემული არაუგვიანეს 6 თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე. ქართულ მწერლობაში შემოტანილ საკონკურსო ნაწარმოებებზე აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება.

ნაშრომი ან მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც მიენიჭა სახელმწიფო ან რომელიმე სხვა პრემია, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და ხელოვანთა სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის, სამეცნიერო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა მიერ.

იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალა (წარწერით „ ______________________

**(პრემიის დასახელება)**

სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“):

ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების და ქვეყნის განვითარებისათვის;

ბ) გამოქვეყნებული ნაშრომი სამ ცალად;

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად შრომათა, აღმოჩენათა, გამოგონებათა სია, მუშაობის ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი);

დ) ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

**მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1 თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე; თბილისი, რუსთაველის გამზ., № 52, ოთახი 311.**

**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 99-00-52.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## SIC!

(მეორე გვერდიდან)

სააკაშვილის სისხლიანმა ხელისუფლებამ კი ყურიც არ შეიბერტყა დანაშაულის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასასჯელად. ამიტომ, ვფიქრობ და დარწმუნებულიც ვარ, რომ ჩემი შვილი სხვა მრავალთა მსგავსად იმ სისტემას შეეწირა, რომელიც სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შექმნა. ეს არის დაშინების პოლიტიკა, მაგრამ საბედნიეროდ, ხალხის დაშინება პრეზიდენტმა და მისმა ამფსონებმა ბოლომდე ვერ მოახერხეს. ამას დღევანდელი პოლიტიკური ვითარებაც მოწმობს. მე მარტო ერთი კითხვა მაქვს: რატომ მომიკალით შვილი?

# „რატომ მომიკალით შვილი?!“

**ბიძინა გამცემლიძე, გიორგი გამცემლიძის ძმა:**

– ჩვენ არ ვაპირებთ იმ უსამართლობასთან შერიგებას, რასაც ქვეყანაში დღეს აქვს ადგილი. როგორ შეიძლება ხოცავდნენ უდანაშაულო ადამიანებს და ამაზე პასუხიც არავინ აგოს. ზურგიდან, კეფაში ესროლეს ჩემს ძმას და ოჯახმა დღესაც არ ვიცით, რის გამო მოხდა ეს? შემდეგ შეთხზული ისტორია, რომ გიორგი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და მასზე შური იძიეს, სრული სიყალბეა.

**ლაშა ჩხარტიშვილი, „გადავარჩინოთ სიცოცხლეს“ წევრი:**

– საქართველოში სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის პოლიტიკური რეჟიმი მეფობს. გიორგი გამცემლიძეც, ისევე როგორც სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე, ზურაბ ვაზაგაშვილი და სხვა მოკლული ახალგაზრდები ამ სისხლიანი რეჟიმის მსხვერპლია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოში მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდეს. მოვითხოვთ სამართლიან გამოძიებას, სამართლიან სასამართლოსა და განაჩენს.

გიორგი გამცემლიძის მკვლელობის საქმეზე ამჟამად მხოლოდ ერთი ადამიანი, ვახტანგ ამბუაშვილი იხდის სასჯელს არა მკვლელობის, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გაუფრთხილებლობის მუხლით. სასამართლოს შემდეგ, მას ორწლიანი თავისუფლების აღკვეთა და ასევე ორწლიანი პირობითი სასჯელი აქვს შეფარდებული.

**მოკლულის ოჯახის წევრებს, ახლა განაჩენი უზენაეს სასამართლოში აქვთ შეტანილი და არასასურველი და არასამართლიანი განაჩენის შემთხვევაში, სარჩელს სტრასბურგის სასამართლოში შეიტანენ.**

**ანა წიწილაშვილი**

## რა არ ხდება

### დღეგრძელი ჩიტა

**კალიფორნიის საკურორტო ქალაქ პალმ-სპრინგში აღნიშნეს მისი ყველაზე სახელოვანი „მოქალაქის“ 77 წლისთავი. ლაპარაკია მსოფლიოში სახელგანთქმულ შიმპანზე – ჩიტაზე. ჰოლივუდის მრავალ ფილმში რომაა გადაღებული, მათ შორის 12 ფილმში ტარზანის თავგადასავალზე. საქართველოში ის სწორედ ერთ-ერთი ასეთი ფილმით გაიცნეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიიდან ნადავლად წამოღებული კინოფილმებიდან.**



ბუნებაში შიმპანზეები ჩვეულებრივად 40-45 წელს ცოცხლობენ, მაგრამ კარგი მოვლითა და კვებით ჩიტა დღეგრძელი გახდა. დიდი ხანია, ცოცხლები აღარ არიან მისი კოლეგები „ტარზანიდან“. მსახიობები ჯონი ვეისმიულერი და მორინ ო' სალივანი. აგრეთვე აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი, ადრე კი კინომსახიობი რონალდ რეიგანი, რომელიც 1951 წელს გადაღებული ამ სურათზე ჩიტას რძით უმასპინძლებდა.

ჩიტას დაბადების დღე მიულოცა გამოჩენილი ამერიკელების ჯგუფმა, მათ შორის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა. აპირებენ ჰოლივუდის დიდების ხეივანში ჩიტას ვარსკვლავის გახსნას.

### „ტიტანიკის“ გასაღები გაიყიდა



**130 ნივთი, ასე თუ ისე დაკავშირებული რომაა სახელგანთქმული ხომალდის „ტიტანიკის“ ტრაგიკულ დაღუპვასთან, გაიტანეს აუქციონზე.** ყველაზე ძვირად გაიყიდა პირველი კლასის კაიუტის გასაღები, რომელიც 97 წელი ინახებოდა ხომალდის სტიუარდის ედმუნდ სტოუნის ოჯახში. მასში 60 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს. ასეთი გაყიდვებს ინგლისის უილტშირას საგრაფოს სააქციონო სახლი წელიწადში ორჯერ აწყობს – აპრილსა და ოქტომბერში.

### კოჩინსკები ჰონორარს აიღებენ?

**პოლონეთის პრეზიდენტს და მის ძმას, ქვეყნის ყოფილ პრემიერს – ლეხ და იაროსლავ კოჩინსკებს დღემდე არ აუღიათ ჰონორარი, რაც მათ 50 წლის წინათ გადაღებულ ფილმში „ორნი, მთვარე რომ მოიპარეს“ მონაწილეობისთვის ეკუთვნოდათ.**

როგორც პოლონეთის მსახიობთა კავშირში გაარკვიეს, ტყუპ ძმებს ახლანდელი კურსით რამდენიმე ათასი ევრო ეკუთვნით, თუმცა ჰონორარის ზუსტ თანხას არ ასახელებენ. აიღებენ კი პოლონეთის მაღალჩინოსნები კუთვნილ ფულს?

### ჩინელები ყველაზე მაღლები?



**2 მეტრი და 46 სანტიმეტრი – ასეთია 27 წლის ჩინელი მოქალაქის ძიაო ლიანგის სიმაღლე.** ალბათ სულ მალე მის გვარს გინესის რეკორდების წიგნში შეიტანენ. ლინგი 10 სანტიმეტრით უფრო მაღალია, ვიდრე რეკორდსმენად აღიარებული ბაო სიშუნი – 2 მეტრი და 36 სანტიმეტრი.

მოზარდი ძიაო კალათბურთს თამაშობდა, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემების გამო მან პროფესიული სპორტი მიატოვა და ახლა თეატრში მუშაობს.

### ჯილდო გახდომისთვის

**დიდ ბრიტანეთში გახდომის მსურველებს პრემიებით წაახალისებენ. „სქელოებისთვის“ ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულმა სამსახურმა 13-თვიანი პროგრამა შეიმუშავა.** მისი მონაწილეები, 7 კილოგრამს თუ დაიკლებენ, მიიღებენ 70 გირვანქა სტერლინგს, მათ კი, ვინც 22 კილოგრამზე მეტს შეელევიან, 425 გირვანქას გადაუხდიან.

### ხელკეტის იუბილე

**70 წელი შეუსრულდა მილიცია-პოლიციის ხელკეტს. 1939 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში (НКВДძ მიიღეს ინსტრუქცია საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისთვის, რომელსაც ევალებოდა ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგება ამ ატრიბუტის დახმარებით.**



თუმცა ასეთი ხელკეტები ადრეც იყო. 1922-1933 წლებში ის წითელი იყო. ყვითელი სახელურით. შემდგომ ის გააუქმეს. ექვსი წლის შემდეგ კი ისევ შემოიღეს, ამჯერად შავთეთრი ზოლებით. სწორედ ისეთი, როგორიც ახლა არის.

### რისკი – სისხლის ჯგუფის მიხედვით

**კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოთი დაავადების საფრთხე სისხლის ჯგუფზეა დამოკიდებული, ასეთია ამერიკელ მეცნიერთა დასკვნა.**

დაახლოებით 100 ათასზე მეტი კაცის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ 1-ლი ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებს ეს სნეულება ყველაზე იშვიათად შეეყრებათ ხოლმე, ხოლო ყველაზე ხშირად ავადდებიან მე-3 ჯგუფის სისხლის მქონენი. „თუკი 1-ლი ჯგუფის სისხლს ეტალონად მივიჩნევთ, მე-2 ჯგუფის სისხლის მქონეთათვის რისკი 32 პროცენტით იზრდება, მე-3 ჯგუფისთვის – 72 პროცენტით, მე-4 ჯგუფისთვის – 51 პროცენტით, აცხადებენ მეცნიერები, თან დასძენენ, რომ მე-3 ჯგუფის სისხლის მქონენი სასოწარკვეთას არ უნდა მიეცნენ: მათ უფრო ხშირად უნდა ჩაიტარონ კუჭქვეშა ჯირკვლის გამოკვლევა, რათა ავადმყოფობას ადრეულ სტადიაზევე მიუსწრონ.

**უცხოური პრესის მიხედვით**

## ანეკდოტები

**– რაო, რა გითხრა ექიმმა? – ეკითხება პეტკა ცოლს.**

**– თვეში მინიმუმ ოცჯერ მაინც უნდა გქონდეს სექსიო.**

**– კარგი... ორი „ზახოდი“ ჩემზე იყოს.**

* * *

**იყიდა ტიპმა ახალი მამალი, რომელიც ნამეტანი „მექალთანე“ აღმოჩნდა, გარდა იმისა, რომ ყოველ დედალს დღეში რამდენჯერმე „გადაუარა“, საერთოდ არც ერთი ფრინველი არ დატოვა „უყურადღებოდ“, რომელსაც კი თვალი მოჰკრა.**

**ერთხელაც შედის ტიპი საქათმეში და ხედავს, რომ მამალი ტალახში მკვდარივით აგდია, გარშემო კი ყვავები შემოსევიან.**

**– რა მოგივიდა ყვინჩილ, საკუთარ თავს ვერ მიხედე? – შეწუხდა ტიპი.**

**მამალმა ოდნავ წამოსწია ქუთუთო და ძლივს გასაგონად უპასუხა:**



**– დამპალო, ყვავები არ დამიფრთხო, თორემ რასაც მაგათ ვუპირებ, შენ დაგემართება.**

* * *

**თუ საკუთარი ცოლის მკლავებში მოქცევისას სხვისი ცოლი გელანდებათ, ნამდვილი ხვადი და მექალთანე ხართ, ხოლო თუ სხვისი ცოლის მკლავებში მოქცეულს საკუთარი მეუღლე გესიზმრებათ, საუკეთესო მეოჯახე ყოფილხართ.**

* * *

**სამი ღრმად მორწმუნე კათოლიკე ფრანგი ქალი ყავას სვამს და საუბრობს.**

**– ჩემი შვილი პასტორია, – ამბობს ერთი. – მას ყველანი ასე ესალმებიან – „წმინდა მამაო“...**

**– ჩემი ვაჟი კი კარდინალია, – სიამაყით აღვსილი ხმით ამბობს მეორე. – ამიტომაც მას ყველანი ასე მიმართავენ – „თქვენო ბრწყინვალებავ“...**

**მესამე მორცხვად დუმს.**

**– რაო, არაფერი გაქვს სათქმელი? – იქედნურად ეკითხებიან მას დაქალები.**

**– არა, რატომაც არა მაქვს სათქმელი. ორმეტრიანი შვილი მყავს, დაკუნთული, ქერა, ულამაზესი მამაკაცი, სტრიპ-შოუში მონაწილეობს. როდესაც ის სცენაზე გამოდის, ყველა ქალი ერთად წამოიკივლებს ხოლმე – „ღმერთო ჩემო“...**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.